

სამჭრთხ სელოვნეე

GOBETGROE
УГРУГГТВО
SOVIET
АРТ
SOWJETKUNST
АРТ
SOVIETIQUE



1970

სეგჟოთა სელოვნება



თვატყი
ფუსიკვ
მხუტვრთვა
კინო
ზრქიბეჭეჭუ
ქმრეოგრუფი



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური,
ლიბრატურულ-მხატვრული, მცენიერულ-თეორიული ყოველთვიური ჟურნალი

1970



ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ბაქოში 1970 წლის 3 ოქტომბერს.

აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წლისთავისათვის



ტრიბუნაზე სამხედრო პარადისა და შერომელთა დემონსტრაციის დროს. ბაქო, 1970 წლის 3 ოქტომბერი.



სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრენცევი ათვალერებს სერგებოვსკის სახელობის ნავთობსარეწ მამართელს.

საბჭოთა აზერბაიჯანის


საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა ძმურ კავშირში შემაჯავლი ყველა რესპუბლიკა გამოირჩევა თავისი განუმეორებელი თვითმყოფადობით, თავისი ბუნებით, მთეზიითა და ბარით, მინდორ-ველით, მდიდარი წარსულითა და შესანიშნავი აწმყთით და კიდევ უფრო შესანიშნავი მომავლით.

მათ შორის ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა აზერბაიჯანს, რომელიც თავისი დამოუკიდებლობის ნახევარ საუკუნეს ითვლის.

დაბს, სწორედ ნახევარი საუკუნის წინ თავისუფლებას მოწყურებული აზერბაიჯანელი ხალხი აღსდგა მუსავატელთა, კაპიტალისტთა და ხანების ძალადობის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთისა და სხვა მოძმე ხალხის დახმარებით, წითელი არმიის მხარდაჭერით დაამხო მონობის მიძიმე უღელი და დაიწყო აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიაში სრულიად ახალი ერა, თავისუფლების, დამოუკი-

დებლობის, საწარმოო ძალთა განვითარების, განათლებისა და კულტურის აღორძინების მანამდე არნახული ერა.

მიმდინარე 1970 წელი დღესასწაულების, დიდი მიღწევების წვლია, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. ამ ღირსშესანიშნავ წელს სრულდება სამივე მოძმე რესპუბლიკაში საბჭოთა ხელოსუფლების გამარჯვებისა და კომუნისტური პარტიების შექმნის ორმოცდაათი წლისთავი, ეს არც შემთხვევითია. აზერბაიჯანელი, სომხი და ქართველი ხალხი დასაბამიდან ერთად არიან, მხარში უდგანან ერთმანეთს, ასე იყო წინათ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ასე იყო 20-იან წლებში, როდესაც სამივე ხალხის სახელოვანი შვილები თავს სდებდნენ მუსავატ-დამნაკ-მენშევიკთა მთავრობებთან, უცხოელ ინტერვენტებთან ბრძოლაში, რომელთაც ბევრი რამ იზიდავდათ ბუნების მიერ მაღლით უსხვად დაჯილდოებულ ამ მხარეში... სამივე ერის შვილები ერთად იქნებიან მუღამ, რადგან მარადიულია ხალხთა ლენინური ძიძა.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ზრევენივი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს ამავრებს აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის დროშას.

ეროვნული დღესასწაული

დიდი ლენინის უკვდავმა იდეებმა კიდევ უფრო შეაკავშირა ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ლენინმა უჩვენა გზა მომავლისაკენ, საბჭოთა ხალხების მეგობრულ ოჯახში, დაუსახა გამარჯვებათა დიდი შესაძლებლობები, ნათელი პერსპექტივები, რაც თანდათანობით სინამდვილედ იქცევა და მომავალში კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან ხალხთა დიდ ლენინურ მეგობრობას. ამ საქმეში კი თავისი უდიდესი წვლილი ჩვენს რესპუბლიკებსაც შეაქვთ.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს 50 წლის-თავის ზეიმს წინ უსწრებდა ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი დღესასწაული ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ეს ზეიმი ემთხვევა საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას — სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებას.

აზერბაიჯანის ეროვნული დღესასწაული სომხეთში დაიწყო, გაგრძელდა საქართველოში, შედგებ მოსკოვში და

ა. შ. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყნის თვითუღი ხალხის სიხარული, ბედნიერება, ზეიმი, ყველას ზეიმი, ყველას სიხარული და ბედნიერებაა.

19 სექტემბერს თბილისში აზერბაიჯანის დღეები დაიწყო. ჩამოვიდა მშრომელთა დელეგაცია, ხელოვნების ოსტატთა დიდი ჯგუფი. დელეგაციას მეთაურობდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ხ. იბრაგიმოვი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა, აზერბაიჯანის პროფსაბჭოს მდივანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი პ. ტ. გუსლევი, ნახიჩევანის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. გ. კაიხიმოვა, ლეიტენანტ შმიდტის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხ. ა. კასიმოვი, ქალაქ ბაქოს 190-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი



აზერბაიჯანელი სტუმრების ჩამოსვლა თბილისში.

შეხვედრა თბილისის ვაგზაზე.

რ. ზ. ისმილოვა, ბაქოს ა. კარაგევის სახელობის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის სამაქროს უფროსი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. რ. კერიმოვი, იმავე დღეს თბილისში ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა ჯგუფი.

სადღესასწაულოდ მორთული თბილისის ვაგზლის ბაქონზე მოჩანდა ტრანსპარანტი, რომელზეც რუსულ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე წარწერილი იყო: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო აზერბაიჯანელი ძმებო“, „გუმარჯოს მოძმე აზერბაიჯანის 50 წლისთავს!“. საბჭოთა აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შესახვედრად მოვიდნენ საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, მოსწავლეები და სტუდენტები, პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ლოლაველი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. ვ. გოგოხია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი, რესპუბლიკის მინისტრები გ. ნ. ჯიბლაძე და ფ. დ. დუმბაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ა. მ. ბალანჩივაძე, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის



აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წლისთავისათვის

პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ი. ა. შვარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები გ. ნ. გომიძე და ნ. ა. ჟვანია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინმატგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ა. სალარიძე, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორი დ. ვ. მჭედლიშვილი, რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შ. ვ. ყარაჩაიბეგოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს დირექტორი ვ. ი. ჭიაურელი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. დ. კუპრაძე, აზერბაიჯანული გაზეთის „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი ა. დ. ყულიევი, სომხური გაზეთის „სოვეტკან ვრასტანის“ რედაქტორი ა. ა. ბურციანი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დ. დავითაშვილი, საქართველოს მშენებლთა კავშირის მდივანი ს. ე. ქვილაა და ი. ე. ნინუშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ი. ფ. სარიშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მ. მჭედლიძე, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საქართველოს ეროვნულ დღესასწაულსავე ზეინთ აღინიშნავს აზერბაიჯანული ხალხი. სსრკ უმაღლესი საბჭოს დეკრეტამ სამედ კასიმოვმა ჩვენთან სტუმრობისას თქვა: „თქვენზე ზეინთ ჩვენზე ზეინთ არის, სულ მალე საქართველოსა შეუსრულებდა გასაბჭოების 50 წელი. აზერბაიჯანულ მიწაზე ჩვენი ხალხი ხელგაშლილი და მოღიმარი შეგხვდებით...“ და ასევე იქნება.

ჯერ კი ქართულ მიწაზე აზერბაიჯანელმა ძმებმა ჰეჯრი რამ ნახეს, გაიცნეს, მოიწონეს, აღფრთოვანდნენ. თავდაპირველად ქ. რუსთავს ესტუმრნენ, დათვალაიერეს მეტალურგიული ქარხანა, განსაკუთრებული ინტერესით გაიცნეს მისსაგლინიავი სამჭრო, ესაუბრეს სახელგანთქმულ საქართველო მეფოლადეს, სოციალისტური შრომის გმირის ამირან ფანცულაიას, რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში საზეიმო კრება მოეწყო. სიტყვებში გამოსულებმა მიულოცეს სტუმრებს დიდი დღესასწაული და ილაპარაკეს სუმაგათიელი და რუსთაველი მეტალურგების მეგობრობაზე. საპასუხო სიტყვაში აზერბაიჯანის მახალხო პოეტმა რასულ რზამ აღნიშნა თავისი ხალხის მიღწევები შრომისა და კულტურის სხვადასხვა ფრონტზე და რუსთაველებს საჩქარად გადასცა ხალიჩაზე ამოქსივლილი ვ. ი. ლენინის პორტრეტი და თავისი პოემა ლენინზე.

ყველგან, სადაც კი მიდიოდნენ მოძმე აზერბაიჯანელი სტუმრები, სიხარულით ხედებოდნენ გულთა მასპინძლები, მეგობრულ საუბარში აცნობდნენ თავიანთ მიღწევებს, წარმატებებს. საჩაგიეროდ სტუმრების ამბავსაც ისმენდნენ და მოწონების ნიშნად ტაშს უკრავდნენ.

ასე იყო ქ. გორსა და მისი რაიონის სოფლებში, სადაც აზერბაიჯანელები 20 სექტემბერს ჩავიდნენ. გორშიც ისევე, როგორც რუსთაველი ცენტრალურ მოედანზე, სტუმრების შესახვედრად შეიკრებნენ ქალაქის მშრომელები, მოსწავლეები, ხოლო ტყვიავის კულტურისა და დასვენების პარკში მიტინგი მოეწყო, რომელიც გორის პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბიშივილმა გახსნა. იგი მიესალმა ჩამოსულთ, მიულოცა დიდი დღესასწაული და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში. შემთხვევითი არ იყო აზერბაიჯანელთა სტუმრობა ს. ტყვიავის. ტყვიავი ხომ მუხნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველის მშობლიური სოფელია, რომლის მოღვაწეობა ბაქოსა და აზერბაიჯანის რევოლუციურ ცხოვრებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

ამაზე ილაპარაკა აზერბაიჯანის სახალხო პოეტმა რასულ რზამ, მასპინძლებს მიესალმა აგრეთვე აზერბაიჯანელი ზეინკალი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. კასიმოვი და სხვ.

აზერბაიჯანელი ხელოვნების წარმომადგენლები, სადაც კი მიდიოდნენ, ყველგან კონცერტს მართავდნენ. ტყვიავიც მიტინგის შემდეგ ღია ცის ქვეშ მოეწყო კონცერტი, რომელსაც გორის რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით შეხვდნენ და გულწრფელი ტაშით აჯილდოებდნენ მსახიობებს. მართლაც მშვენიერი სანახაობა იყო. მრავალწლოვანი ხეების ქვეშ, ქართლის ულამაზეს ბუნების ფონზე აზერბაიჯანელ ქალთა ნარანარ ცხეკვა მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავეთა ანსამბლ „აიგუნის“ შესრულებით. პარკი მაყურებელი ვერ იტყვავა, ნორჩი ხელოვნების მოყვარულნი ხეებზე მოკათბებულყიყვნენ.

გორში დაბრუნებულმა სტუმრებმა გზად სოფელ ქივინის მფხილებლობის საბჭოთა მუერნეთმა დათვალაიერეს და აღფრთოვანებული დარჩნენ ქართული ხილის ბარაკით.

გორში ინახულნი ი. ბ. ტალიხის სახლ-მუზეუმი, დაღამის კი გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც გახსნა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ბერიანიძემ, სტუმრებს მიესალმნენ ქალაქის მშრომელთა, ახალგაზრდობისა და კულტურის მუშაკთა წარმომადგენლები.

21 სექტემბერს დღისით აზერბაიჯანის სსრ დელეგაცია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მთავანამ.



აზერბაიჯანელები მიღებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატთან,

დემ. დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ხ. იბრაგიმოვმა. იგი აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის, მთავრობისა და მშრომელთა სახელთ მიესალმა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობასა და ყველა მშრომელს.

საპასუხო სიტყვაში ამხანაგი ვ. პ. შვავანაძე მიესალმა სტუმრებს, მიულოცა და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის დღესასწაული მთელ საქართველოში აღინიშნება, რაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო დემონსტრაციაა.

თბილი, სამახსოვრო შეხვედრა მოუწყეს აზერბაიჯანელ სტუმრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვა აკადემიკოსებმა ი. ვეკუამ, გ. ახვლედიანმა, პრორექტორმა ნ. ლომოურმა, სტუდენტმა ლ. კობალაძემ, დოცენტმა ვ. ჯაფარიძემ. სტუმრების მხრიდან სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა. მან თავისი გამოსვლა დაასრულა მეგობრული სიტყვებით: „თქვენნი წარმატებით ვხარობთ და ვამაყობთ! გმადლობთ კეთილი, გულუხვი მასპინძლობისათვის!“

აზერბაიჯანის დღეები საქართველოში იწურებოდა. ბევრი რამ ინახულეს, ბევრი თბილი და გულითადი სიტყვა ითქვა სტუმარ-მასპინძელთა მხრიდან. მაგრამ რჩებოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელსაც ბუნებრივია, დიდი რეზონანსი უნდა ჰქონოდა და ასეც მოხდა.

21 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში თავი მოიყარეს სტუმარ-მასპინძლებმა, ჩამოსულ-დამხდურებმა, მომძე აზერბაიჯანის კულტურის მოყვარულებმა და დამფასებლებმა. ვისაც ერთხელ მოუსმენია ტბილზომიანი აზერბაიჯანული სიმღერა, უნახავს ცეცხლოვანი და ტემპერამენტული მამაკაცთა ცეკვა, ან ქალების დახვეწილი, კდემამოსილებით აღსავსე ეცეკვები, უთუოდ მოისურვებს მათ ნაცეკვ-ნამღერის კვლავ ხილვამისმენას.

დასვენითი საღამოს საზეიმო სსდომის პრეზიდენტში ადგილები დაიკავეს აზერბაიჯანელთა მხრიდან დელეგაციის ხელმძღვანელმა აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. იბრაგიმოვმა, რასულ რზამ, პ. გუსევი, შ. კიაზიმოვამ, ს. კასიმოვმა, რ. ისმაილოვამ, ა. კერიმოვამ, მასპინძელთა მხრიდან პრეზიდენტში ისდენენ ვ. პ. შვავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კვიციანი, ა. ნ. ინაური, თ. ი. ლოლაშვილი, ამირეჯავასისის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. კ. კურკოტკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. მ. სტარჩენკო.

ვრცელ მესავალ სიტყვაში საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ლოლაშვილი შეეხო ამირეჯავასისის ხალხთა ისტორიულ წარსულს, მათს ერთობლივ ბრძოლას უცხოელ დამპყრობლებთან, ილაპარაკა საბჭოთა აზერბაიჯანის მიღწევებზე მრეწველობაში,



საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან გ. ვ. მეგავამქსთან.

სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურის დარგებში, როგორც ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელ დადასტურებაზე.

საუვიმო საღამოზე სიტყვები წარმოთქვამს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა გ. მელიქიშვილმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსა-შენიშნული ქარხნის ხარატმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზ. სალარიძემ, ძველმა ბოლშევიკმა მე-11 არმიის ბაქოს მეთაურმა კურსების ყოფილმა კურსანტმა შ. ცაგარეიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტმა გ. უგამაჯურიძემ.

საასუხო სიტყვაში აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. იბრაჰიმოვმა მადლობა გადაუხადა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას, მთელ ქართველ ხალხს მეგობრული, ჭეშმარიტად ძმური მიღებისათვის და სხდომის პრეზიდიუმს მიაჩნთა აზერბაიჯანის სსრ გერბი.

საუვიმო სხდომის დასასრულს გაიმართა მეგობრობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ორივე რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, ანსამბლებმა, მოცეკვავეებმა.

კონცერტი გახსნა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელსაც გამომსახვე-

ლად დირიჟირობდა აზერბაიჯანელი დირიჟორი რ. ქერიშვილი. ორკესტრმა შეასრულა აზერბაიჯანელი მუსიკის კლასიკოსის უსეიჩი ჰაჯიბეგოვის ოპერა „ქოროლინი“ კვინტიურა. რ. ქერიშვილის სახით თბილისელებმა გაიცნეს შემოქმედებითი ბუნების მოაზროვნე დირიჟორი.

გულთბილი ტაშით შეხვდა მაცურებელი აზერბაიჯანის სახალხო არტისტის ს. კადიმოვას გამოსვლას. კადიმოვა არაერთჯერ ყოფილა თბილისში და მოუხიბლავს თბილისელი მსმენელი თავისი ვოკალური მონაცემებით, მაღალაროფესიული, ორიგინალური, მომხიბვლელი შესრულებებით. კონცერტზე მან ჩვეული ოსტატობით შეასრულა კომპოზიტორ ა. ბაბაიევის „მეგობრობის სიმღერა“ და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

მსმენელები აღადგნოვანა აზერბაიჯანის სახალხო არტისტის რ. ატაკიშვილის გამოსვლამ. მან სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა კომპოზიტორების ვ. ამირთისა და ტ. ყულიევის სიმღერები რ. რზას სიტყვებზე.

როდესაც სცენაზე მ. ფ. ახუნდოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავეთა ანსამბლი გამოვიდა, თითქოს მათ აზერბაიჯანელი მიწის სურნელთან ერთად აზერბაიჯანის მზე, ბარაკა და დღოვლათი მოუტანეს მომძე საქართველოს. ისე მშვენიერნი და ჰეროვანი იყვნენ მოცეკვავე ქალიშვილები, ისე გულწრფელად, მადლობით უმღერდნენ ბედნიერ აწმყოს, მშობლიურ აზერბაიჯანს, რომ აღტაცებაში მოიყვანეს მაცურებელთა დარბაზი.

წარმატებით გამოვიდნენ აზერბაიჯანის საესტრადო



აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წლისთავადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

ხელოვნების წარმომადგენლები: ტრიო ს. განიევის, ი. აბდულაევისა და გ. სადიხოვის შემადგენლობით, პოპულარული ფოკალური კვარტეტი „გაია“ — სრულიად საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების მრავალჯგზის ლაურეატი, რომლის შემადგენლობაში არიან ტ. მიროზიევი, რ. ბაბაევი, ა. გაჯიევი და ლ. ელისავეტსკი; აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ფ. ქერიმოვა.

მშობლიურ აზერბაიჯანს უმღერა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. შამედიევმა რ. გაჯიევის სიმღერით „აზერბაიჯანი“.

საზეიმოდ აქედრდა კონცერტის დასასრულს კომპოზიტორ ო. ზულფაგაროვის კანტატა „იზეიმე ჩემო ხალხო“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ხელოვნების მოღვაწეებმა. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. კაკაბაძემ, სტუმრების მოწონება დაიმსახურა ანსამბლ „სალხინოს“ გამოსვლამ.

აზერბაიჯანის დღეებში თბილისის წამყვან კინოთეატრებში უჩვენებდნენ აზერბაიჯანულ კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებებს: „ბავშვობის უკანასკნელ დამეს“, „ორთა



წ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ბრძოლას მთებში“ და „სვეის“, რომლის პრემიერაც აქ, ამ დღეებში შედგა.

22 სექტემბერს აზერბაიჯანელთა წარმოგზავნილებმა ინასულეს და ყვაფილებით შეამკეს მ. ფათალი ახუნდოვის საფლავი. სიტყვები წარმოთქვეს პოეტებმა რასულ რზამ და ი. ნონეშვილმა.

იმავ დღეს აზერბაიჯანელთა დელეგაცია მშობლიურ ქალაქში გაემგზავრა. თბილისის აეროდრომზე მათ გასა-ცილებლად თავი მოიყარეს ჩვენი ქალაქის მშრომლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, მწერლებმა, პარტიულმა, საბჭო-

თა, კომკავშირულმა ჯეტებმა, ჟურნალისტებმა. მათ შო-რის იყვნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ცხაკაია, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ლოლაშვილი, საქართ-ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრო-პაგანდის განყოფილების გამგე დ. გოგობია, თბილისის მშრომელთა დემუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ უმაღ-ლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი




აზერბაიჯანელი სტუმრები ქ. გორში.

აზერბაიჯანელთა

სოფელ ტევიეში.





აზერბაიჯანელი ქალიშვილები.

ზეიზი საქართველოში

აზერბაიჯანელ მოცეკვეთა გამოსვლა ს. ტყეაის კულტურისა და დასვენების პარკში.



აზერბაიჯანის სსრ
აზერბაიჯანის კომპარტიის
50 წლისთავისათვის



საზეიმო კონცერტზე თბილისში.

საზეიმო კონცერტზე თბილისში.





საზეიმო კონცერტზე თბილისში.

გ. ჯიბლაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. შევარდნაძე და გ. ანდრონიკაშვილი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შ. ყარყარაშვილი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი ა. ბორცვანი, გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ რედაქტორი კ. ყულიევი, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ს. ჭილაია და ი. ნონეშვილი.

ამით დამთავრდა მომხმე აზერბაიჯანის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებული მეგობრობის ზეიმი საქართველოში, რომელმაც სამ დღეს გასტანა და ოქროს ფურცლებად ჩაიწერა საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა მშობისა და მეგობრობის უკვდავ მატაიანეში.

ათიოდე დღის შემდეგ კი ზეიმი თვით აზერბაიჯანში გაგრძელდა, ფართოდ გაიღო შიუური აზერბაიჯანის სტუმართმოყვარული კარი მომხმე რესპუბლიკების დელეგაციებისა და ყველას შესაგებებლად, ვინც იზიარებს ამ საყოველთაო-სახალხო ზეიმს.

30 სექტემბერს ბაქოში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ზეიმში



ჭილაია ს. ტყეავეში.

მონაწილეობის მისაღებად. მომე ხალხის სიხარულის გასაზიარებლად იქ აზერბაიჯანულ მიწაზე 1 ოქტომბერს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილი იყავი ჩავიდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მგავანაძე, პოეტ რ. მარჯიანი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი სოციალისტური შრომის გმირი ესლომოვინია, ლავოდეხის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ცქიფურიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარაიძე.

2 ოქტომბერს ბაქოს ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დიდი ზეიმის არენად იქცა. საზეიმო სდომის პრეზიდენტში ადგილები დაიკავეს ლ. ი. ბრეჟნევიმა, პ. ე. შელესტმა, დ. ა. კუნავემა, ვ. პ. მგავანაძემ, შ. რ. რაშიდოვმა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, გმირი ქალაქების მოსოვიკისა და ლენინგრადის დელეგაციების წევრებმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულ-

ტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოწვევების ადამიანებმა.

საზეიმო სდომა გახსნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. ალიევიმა. მანვე გააკეთა მოხსენება „აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წელი“.

სდომის მონაწილეებმა დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა. მან დამსწრეთ გააცნო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულება კომუნისტურ მშენებლობაში დამსახურებისათვის ორგზის ლენინის ორდენისანი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კიდევ ერთი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

აზერბაიჯანელ ხალხს მიესალმნენ სტუმრად ჩამოსული მომე ხალხების დელეგაციების ხელმძღვანელები, მიულოცეს ის ჭეშმარიტად სახალხო დელეგაციული და უსურვეს შემდგომი წარმატებები კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისზმის მშენებლობაში.

აზერბაიჯანელი სტუმრები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.



ოქტომბერი და ხელშეწყობა

გივი ბოჯგუა

საბჭოთა ხალხთან ერთად წელს მთელი პროგრესული კაცობრიობა 53-ჯერ ზეიშობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სადღესასწაულო თარიღს. 53-ე 7 ნოემბერი გავიდა „აგორას“ ცეცხლოვანი ქუხილიდან, რომელმაც მსოფლიოს ერთ მეექვსედზე დასაბამი მისცა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას. „ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობა ის არის, — ვითხოვლობთ სკკპ ისტორიაში, — რომ იგი პირველი რევოლუციაა მსოფლიოში, რომელმაც ხალხს მიანიჭა არა მარტო პოლიტიკური უფლებები, არამედ შეძლებული ცხოვრების მატერიალური პირობებიც“.

დიდმა ოქტომბერმა პრაქტიკულად დაადასტურა, რომ მანამდე ჩაგრული, დაბეჩავებული კლასების წარმომადგენლებს — მუშებსა და გლეხებს ერთმანეთთან ძმური კავშირის შეკრითა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არათუ შეუძლიათ დაამოწონ საუღელუკო კლასობა-ტრიობა უსუსტიკესი ბატონობა, არამედ ძალა შეწყვიტონ დაამყარონ პროლეტარიატის დიქტატურა. შექმნან მუშურ-გლეხური სახელმწიფო, თვითონვე მართონ იგი, გამარჯვებით დაავიწროვონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა.

დიდმა ოქტომბერმა დაამტკიცა, რომ სოციალისტურ სინამდვილეში შესაძლებელია არა მარტო პოლიტიკური უფლებების მოპოვება, არამედ ეკონომიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის აყვავება. და ყოველივე ამას სათავეში უდგას, უპირველეს ყოვლისა, ყველსზე მეტბრძოლი, ყველსზე რევოლუციური, ყველსზე ორგანიზებულ მუშათა კლასი კომუნურ გლეხობასთან კავშირში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანამა კ. ი. ბრეჟნევმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სნდმასზე 1970 წლის 21 აპრილს თავის მოხსენებაში „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ — განაცხადა:

„...მუშათა კლასი დღესაც ხელმძღვანელ როლს ასრულებს ჩვენს საზოგადოებაში.

მისი მიზანი — კომუნისზმი — საყოველთაო სახალხო მიზანი გახდა.

მისი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი — გაბატონებული იდეოლოგია გახდა.

მისი პარტია — კომუნისტების პარტია — მთელი ხალხის პარტია გახდა.

მუშათა კლასის სამიწველ მოკავშირე ბრძოლაშიც და შრომაშიც კომუნურ გლეხობაა“.

დიდმა ოქტომბერმა ნათელი გახადა, რომ სოციალისტურ ქვეყანაში შესაძლებელია უაღრესად მოწინავე, პირველობითიანი მეცნიერებისა და კულტურის შექმნა, რომლებიც მშრომელი ხალხის უფართოესი მასების კუთვნილებ-

დად იქცევიან. და ეს ლიტონი სიტყვები როდია, არამედ უჭეშმარიტების ჭეშმარიტება, დადგენილი საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მიერ.

ვ. ი. ლენინს — დიდი ოქტომბრის ბელადსა და შემოქმედს — ცოტა დრო რჩებოდა იმისათვის, რომ დაქინებით შესდგომოდა ხელოვნების საკითხებზე მუშაობას. მაგრამ როგორც კი მიეცემოდა საშუალება, დიდი სიღრმითა და პარტიული მომთხოვნელობით არკვევდა ხელოვნების საჭირობოროტო საკითხებს. ლენინს უაღრესად მაღალი გემოვნება ჰქონდა; მას უყვარდა რუსი კლასიკოსები, რეალისტური ლიტერატურა, ფერწერა, თეატრი, კინო, ხელოვნების სხვა დარგები. ბელადი იბრძოდა ოქტომბრის რეგულაციით მოპოვებული საბჭოთა ქვეყნის ახალი ხელოვნების შესაქმნელად. ილიჩი მიუთითებდა იმაზე, რომ ყოველ საბჭოთა ხელოვანს უფლება აქვს შემოქმედებითი მუშაობა წარმართის თავისუფლად, საკუთარი იდეალების შესაბამისად. მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ხელოვნების პარტიულობა. პარტია კი, თავის მხრივ, უნდა ხელმძღვანელობდეს ამ პროცესში. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ლენინს სხვაგვარა უყვარდა... ინიციალად მებრძოლი, რევოლუციური, სიმართლის მქადაგებელი და ხალხურობის გამომხატველი რეალიზმისა. სწორედ ვ. ი. ლენინის გენიალური თეორია დაიყო საფუძვლად საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. რომელმაც თავის ერთადერთ სწორ მეთოდად აღიარა ახალი, სოციალისტური რეალიზმი.

საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებს ოქტომბრის რევოლუციამდეც ჰქონდათ თვითმყოფადი, ერთგული ოქტერატურა და ხელოვნება. მაგრამ მათი ნამდვილი აყვავება და გაფორმება საბჭოთა სინამდვილეში მოხდა, ვინაიდან პარტიამ და ხელოვნულებმა თავიანთი ღიძელ საქმედ მიიჩნიეს საბჭოთა კულტურის წინსვლა. ახალმა საზოგადოებრივმა წყობამ — სოციალიზმმა ფართო გზა მისცა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ჩამოყალიბდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, რომლის ძირითადი ნიშნებია ღრმა ხალხურობა, კომუნისტური პარტიულობა, სიმართლე, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი.

კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა მთელი პლეადა შემოქმედებითი ინტელიგენციისა. იგი დიდად აფასებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებმაც თავიანთი შრომითა და შემოქმედებითი ძიებებით მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს არა მარტო საბჭოთა, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურის ისტორიაში. ჩვენთან შექმნილია ყველა პირობა პროფესიული დაოსტრუქციისა და ტალანტების გამოვლენისათვის. „ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები ცდილობენ დაამტკიცონ, — თქვა ლ. ი. ბრეჟ-



ე. ქიშნარია.

სერიდან „საბჭოთა ხელსუფლებისათვის“.

ნემა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლის-
თავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე, — თითქოს ჩვენს
ქვეყანაში კულტურულ რევოლუციას თან სდევდა „ეროვნუ-
ლი ტრადიციების დაგარევა“. მაგრამ საბჭოთა სინამდვილე
თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რაოდენ უსაფუძვლოა ეს მონა-
ჩმასი“. დიას, რუსული ლიტერატურა და ხელოვნება დარ-
ჩა რუსულად, ქრაინული — უკრაინულად, ყაზახური —
ყაზახურად, ქართული — ქართულად და ა. შ., ე. ი. ფორ-
მით ეროვნულად, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი მთავარი
ძარღვი — ყველა მათგანი შინაარსით სოციალისტურია.

საბჭოთა ხანაში ხელოვნების მწვერვალები დაიპყრეს
ქართველმა ყალმისა და საჭრეთლის, სცენისა და ეკრანის,

მუსიკისა და ქორეოგრაფიის, ხუროთმოძღვრებისა და ჭე-
ღურობის დიდოსტატებმა.

თითქოს რა უნდა ყოფილიყო გენიალური რუსთაველის
მხატვრულ სიტყვაზე ძლიერი, დიდი ოპიზარების ჭედურო-
ბაზე უფაქიზესი, უძველეს ქართულ გალობაზე უტკბესი,
დროთა ჭარ-წვიმისაგან ჩამორეცხილ ფრესკებზე უნატოვე-
სი, საუკუნემრავალ ველესია-მონასტრებზე უდიადესი, მაგ-
რამ საბჭოთა ხელოვნების უნიჭურესმა წარმომადგენლებმა
მონახეს ახალი ხერხები და საშუალებები, რათა მართლად
აესახათ ახალი ცხოვრების ბობოქარი, შრომის ფერხულში
ჩაბმული სინამდვილე და ისინი ამ შემთხვევაშიც მყარად
იდგნენ სოციალზმის სხვიით გაბრწყინებულ ეროვნულ



სადილობო ნამუშეარი

ტრადიციებზე. ეს ნათლად ჩანს ქართული თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, კინოსა და ხელოვნების სხვა დარგთა დღევანდელი დონიდან.

საბჭოთა ხელოვნებაში შედარებით ახალი დარგია კინემატოგრაფია. მართებულია, როცა მას დიდი ოქტომბრის პირმშოდ მიიჩნევენ. საბჭოთა კინოს დაბადების თარიღად თვლიან 1919 წლის 27 აგვისტოს, როცა ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა რსფსრ-ს საბჭომსაბჭოს დადგენილებას კინემატოგრაფიის ნაციონალიზაციის შესახებ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე არ შექმნილა კინოფილმები როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში, მაგრამ კინომ სწორედ საბჭოთა პერიოდში გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯები, მიაღწია მხატვრულ სრულყოფას. საქართველოში,

მაგალითად, პირველი დოკუმენტური კინონარკვევი — „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ — 1912 წელს გადაიღო კინოოპერატორმა ვ. აბაშუქელმა. 1916 წელს ა. წუსუნავამ შექმნა პირველი მხატვრული ფილმი „ქრისტინე“, ხოლო 1921 წელს ი. პერესტიანმა მასურებელს უჩვენა პირველი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ქართული საბჭოთა ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“. დიდი მოვლენა იყო საბჭოთა კინემატოგრაფიაში „წითელი ეშმაკუნების“ (1923 წ.) გამოსვლა. ეს გახლდათ პირველი საბჭოთა ფილმი, შექმნილი რევოლუციური-სათავგადასავლო თემატიკაზე (რეჟისორი ი. პერესტიანი). მალე გამოჩნდნენ ნიჭიერი კინორეჟისორები კ. მარჯანიშვილი, ნ. შენგელაია, მ. ჭიაურელი, ს. დოლიძე, დ. რონდელი, მ. კალა-



ე. ქიშნარია.

სერიიდან „საბჭოთა ხელისუფლებისათვის“.

ტოზიშვილი, რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, მ. კობახიძე, მ. კოკონაშვილი, კ. პიპინაშვილი, შ. მანაგაძე და სხვები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში. თავისთავად ბევრის მოქმედია ის ფაქტი, რომ 1944 წელს თბილისის კინოსტუდია დაკვიდრდა ლენინის ორდენით. ეს იყო დიდი მაღალმატერული მუშაობის აღიარება პარტიისა და მთავრობის მიერ.

დღეს ქართულ ფილმებსა და მათს შემქმნელ კოლექტივებს მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ, ისინი ჯილდოვდებიან სხვადასხვა ფესტივალის პრიზებით, დიპლომებით. განსაკუთრებით გაითქვა სახელი კინორეჟისორ რ. ჩხეიძის მიერ ბრწყინვალედ დადგმულმა ფილმმა „კა-

რისკაცის მამა“, რომელმაც ტრიუმფით მოიარა მთელი სამყარო და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. შორს გაითქვა სახელი ქართულმა დოკუმენტურმა კინომაც. წარმატებენია მოპოვებული საბავშვო და მულტიპლიკაციური ფილმების შემქმნაში.

საკვიფელთოდ ცნობილია ქართული მუსიკალური ტრადიციები. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ქართველ ხალხს მაღალგანვითარებული მუსიკალური ხელოვნება ჰქონდა. ქართულ საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს უცხოელი მსმენელი. სწორედ მათ ნიადაგზე შეიქმნა შესანიშნავი ეროვნული მუსიკალური ნაწარმოებები, განსაკუთრებით ქართული ოპერები, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩიშვილის, ზ. ფალიაშვილის, ვ. დოლიძის და სხვა



სადილომო ნამუშეარი

გამორჩენილ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები სამუდამოდ შევიდნენ ქართული და საბჭოთა მუსიკის ოქროს ფონდში. მაგრამ ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ განვითარების ზენიტს მიაღწია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1921 წლიდან ზედიზედ იდგმება ორიგინალური ოპერები და ბალეტები, იწყება ბრწყინვალე მუსიკალური ნაწარმოებები, დიდი ყურადღება ექცევა ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდას. ქართული კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები დღეს ტოლს არ უდებენ თავიანთ გამორჩენილ კოლეგებს სსრ კავშირსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საერთო აღიარება მოიპოვეს ქართველმა კომპოზიტორებმა ა. ბალანჩივაძემ, თ. თავაძეშვილმა, ა. შავერავამ-

მა, რ. ლალიძემ, ს. ცინცაძემ, ბ. კვერნაძემ, დ. თორაძემ, მ. ნასიძემ, თ. გორდელმა, ნ. გაბუნიაძე და სხვებმა. სამშობლო ამაყობს ისეთი მაღალნიჭიერი საოპერო მომღერლებით, როგორც არიან ზ. ანჯაფარიძე, მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, ნ. ანდლუაძე, ზ. სოტკიალა, ც. ტატიშვილი, რ. კაკაბაძე და მათი კოლეგები. ქართული სამემსრულებლო მუსიკალური ხელოვნების წინსვლას შთაგონებით ემსახურებიან დირიჟორები ვ. ფალიაშვილი, დ. მირცხულავა, ჯ. კახიძე, ზ. ხუროძე, ლ. კილაძე, ჯ. გოგიელი, გ. აზმაიფარაშვილი, თ. ჯაფარიძე და სხვ.

დიდი სიხარულის მოწმენი გახდნენ ქართველი მუსიკის მოყვარულები — გასულ წელს ქუთაისში გაიხსნა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის



ე. ქიშნარიძე.

სერიიდან „საბჭოთა ხელისუფლებისათვის“.

სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ხოლო წელს — თბილისის კონსერვატორიის ფილიალები.

განვითარების მაღალ დონეზეა ქართული საბჭოთა თეატრი. მისმა უკანასკნელმა წარმატებებმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, რუმინეთში, მოსკოვში, ვოლგოგრადში თუ თვით საქართველოში, ერთხელ კიდევ განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ გვეყვანან უნიჭიერესი თეატრალური კოლექტივები, რეჟისორები, დირიჟორები, მსახიობები, თეატრალური მხატვრები. სასიხარულოა, რომ მათს რეპერტუარში წარმოდგენილია ძირითადად ქართველი დრამატურგების ნაწარმოებები აქტუალურ სადღესიო თემებზე.

კოტე მარჯანიშვილის, სანდრო აბმეტელის, ალექსანდრე წუწუნავას დიდ ტრადიციებზე განვითარებულმა ქართულმა საბჭოთა თეატრმა მრავალი მაღალმხატვრულად დადგმული საექსტაკლით გაახარა მაყურებელი. ქართველი

თეატრალური რეჟისორები ეძიებენ და პოულობენ ახალ ხერხებსა და საშუალებებს, რათა განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანონ რეჟისურა.

ქართული თეატრი თავიდანვე მდიდარი იყო გამორჩეული მსახიობებით; მათი ნიჭიერება მუდამ სიბლავდათ პროფესიონალებსაცა და მომთოვნე მაყურებელსაც. ამიტომ არის, რომ თეატრალური ხელოვნების ყოველი გულმგმამტკივარი პატივისცემით იხსენიებს ს. ზაქარაიძის, გ. გომიამეილის, ს. თაყაიშვილის, ო. მელენიეთუხუცესისა და სხვა ცნობილ მსახიობთა სახელებს.

თეატრალური ხელოვნება ჩვენში ნამდვილ სახალხო ხელოვნებად იქცა. ამჟამად რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დაბებში, სოფლებში გატაცებით მუშაობენ სახელმწიფო თუ სახალხო თეატრები, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

ერთნულ ნიადაგზე ვითარდება ქართული საბჭოთა



საბავშვო ნამუშევარი

სახვითი ხელოვნებაც. მრავალფეროვანია და საინტერესო მისი დარგები. ქართულმა ფერმწერებმა, გრაფიკოსებმა, მოქანდაკეებმა, ჭედური თუ გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებმა თავისი ქვეყნის გარეთაც, შორს გაუთქვეს სახელი ქართული კაცის ნაზრალსა და ნაოსტატარს.

სახვითი ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა საქართველოს პირმშომ — 1922 წელს დაარსებულმა თბილისის სამხატვრო აკადემიამ, რომლის კედლებში ცნობილ პრაქტიკოს-პედაგოგთა ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი ორიგინალური, საკუთარი ხელწერის მქონე ხელოვანი, რომელთა ნამუშევრებს აღტაცებაში მოჰყავს უცხოელი თუ ადგილობრივი მხანველი.

გამოჩენილმა ქართველმა მხატვრებმა ლ. გუდიაშვილმა, უ. ჯაფარიძემ, დ. კაკაბაძემ, ი. ვეფხვაძემ, ა. ციმაკურიძემ, ა. ქუთათელაძემ, თ. აბაკელიამ, ელ. ახვლედიანმა, ქ. მაღალაშვილმა, კ. სანაძემ; მოქანდაკეებმა იაკობ ნიკო-

ლაძემ, ნ. კანდელაკმა, ს. კაკაბაძემ, ვ. თოფურიძემ, ე. ამაშუკელმა, მ. ბერძენიშვილმა და სხვებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების სავანურში. მათ გვერდით არის ახალგაზრდა შემოქმედთა მთელი არმია, რომელსაც ჯერ კიდევ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა, მაგრამ უკვე გამოირჩევა იდეურობითა და შესრულების მაღალი კულტურით.

ვერავენ აუცილს გულგრილად ნიჭიერი მხატვრების კ. მასარაძის, გ. თოთიბაძის, ნ. იანჭოშვილის, ე. ბაღდავაძის, ზ. ნიჟარაძის, კ. იგნატოვის, რ. თორდიას, ჯ. სუციშვილის, ნ. მესხიძისა და სხვათა შემოქმედებას.

სასიხარულოა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ქართველ მხატვართა შორის კიდევ ორმა გამოჩენილმა ხელოვანმა მთიანეთის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მეტად საპატიო წოდება. ესენი არიან ს. ქობულაძე და ა. ქუთათელაძე.

ბოლო დროს ქართულ სახვით ხელოვნებაში ფართოდ



ბ. ჭელიძე.

რეკლუციის დროშები.

მოიკიდა ფეხი ჭედურობამ. ახალი სიცოცხლე მიეცა ბეჭა და ბეჭენ ოპიზარების ხელთუქმნელ ხელოვნებას. ამ დარგში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ირაკლი და გოგი ოჩიაურებმა, კობა გურულმა, კარლო ქუთათელაძემ, სოსო ქოიავამ.

ახლოვდება საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაკუთრებანი იუბილე. რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები ღირსეულად ხვდებიან ამ ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს. გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს თეატრებში, კინოსტუდიაში, მხატვართა სახელოსნოებში, ახალ ნაწარმოებებს წერენ მუსიკოსები. მათი მიზანია სრულყოფილი ქმნილებები შექმნან საიუბილეოდ.

„საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველყოფილი კომუნისტური იდეებით, დიდ იდეურ-აღმზრდელით როლს ასრულებენ, — ჩაწერილია სკკპ პროგრამაში, — საბჭოთა ადამიანს უკეთარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს. ისინი მოწოდებული არიან იყონ სიხარულისა და შთა-

გონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, განიხატებდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება“. პარტიის პროგრამის ეს მოთხოვნა კარგად იციან ჩვენ რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა. სწორედ ამიტომ ისინი თავიანთ ნაწარმოებებში მთელი სიმართლით ასახავენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მკაფიო სახეებს, ლახვარს სცემენ, აკრიტიკებენ ყოველივე იმას, რაც აფერხებს, ბარიერად ეღობება წინსვლის საქმეს.

ქართველი ხელოვნების მუშაკები ერთგულად ემსახურებიან პარტიასა და ხალხს, მათი ცხოვრებით ცხოვრობენ და იღვწიან; სხვა მშრომელებთან ერთად ისინი მტკიცედ იცავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, რომელმაც მათ გზა გაუხსნა ნამდვილად თავისუფალი, ღრმად ეროვნული, ხალხური და პარტიული შემოქმედებისაკენ.

ზრილის ანგოლი ჩვეულებრივად ჩართულ პუბლიცისტიკაში

ლეო გორგილაძე

შესრულდა 150 წელი დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, კ. მარქის მგობრისა და თანამებრძოლის ფ. ენგელსის დაბადებიდან. კ. მარქთან ერთად ფ. ენგელსი შემოქმედია კომუნისტური მეცნიერებისა, რომელმაც საერთაშორისო მუშათა კლასის შეიარაღა მსოფლიოს შემეცნებისა და რევოლუციური გარდაქმნის მიზავრ სულიერ იარაღად. ვ. ი. ლენინმა მარქსისა და ენგელსის დანახურება რამდენიმე სიტყვით ასე გამოთქვა: „მათ მუშათა კლასის ასწავლეს თვითშემეცნება და თვითშეგნება და ოცნების ადგილას მეცნიერება დააყენეს.“¹

ამიტომ იყო, რომ ალ. წულუკიძე ქართველ მუშათა კლასის მსურველედ მოუწოდებდა: „ქარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი — ჩვენი მახარებლებია, ჩვენ მარქსის ნამდვილი მოციქულებია, და ყოველ მუშას შეადე უნდა ახსოვდეს მათი დიდებული მოქმედება, მათი თავგანწირული პიროვნება.“²

მარქსმა და ენგელსმა ბურჟუაზიული საზოგადოების ანალიზის საფუძველზე გამოიკვლიეს კაპიტალიზმის ძირითადი ნიშნები, მისი გენეზისი, აწმყო და მომავალი. მათ სოციალიზმში და მუშათა მოძრაობა შეაერთეს, მუშათა კლასში შეიტანეს კლასობრივი ცნობიერება და მას ბრძოლის ნამდვილი გზა უჩვენეს. მუშათა მოძრაობამ წარმოშვა მეცნიერული კომუნისმი, მეცნიერულმა კომუნისმმა კი მუშათა კლასს გზა გაუანათა და ბრძოლა გაუადვილა.

მარქსმა და ენგელსმა მთელ ქვეყანას აუწყეს, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმეა. სოციალისტური იდეალი განუხორციელებელ ოცნებად დარჩებოდა, ვიდრე იგი ერთიან ძალად დარჩა მუშა კლასის თვითმოქმედების საგანი არ გახდებოდა. ამ ქმშნის მიზანს მეცნიერული დასაბუთება „ჩინებულად შეასრულეს მარქსმა და მისმა მეგობარმა ენგელსმა.“³

მუშათა კლასმა რევოლუციის საშუალებით ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივი ბატონობა უნდა მოსპობს და მთელი მშროთელობა ხელთ იგდოს. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას განახორციელოს თავისი საბოლოო მიზანი — შექმნას კომუნისტური საზოგადოება. პირველად მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ „სანამ პოლიტიკური ძალა არ გადავა პროლეტარიატის ხელში (დიქტატურა პროლეტარიატისა), შეუძლებელია შეიცვალოს არსებული წესობლება, შეუძლებელია მუშების სრული განთავისუფლება.“⁴

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს: ვიდრე საზოგა-

დობის პროგრესის მატარებელი ზეადმავალი კლასი ბრძოლის ველზე, იარაღით ხელში ბარკადემზე გამარჯვებას მოიპოვებდეს, მანამდე იგი კაცობრიობას თავის ბატონობას იღეურ სფეროში გონებრივი გამარჯვებით აუწყებს. იდეური რევოლუცია წინ უსწრებს და ამზადებს პოლიტიკურ რევოლუციას.

განმანათლებლობამ მე-18 საუკუნის საფრანგეთში, ხოლო კლასიკურმა იდეალიზმმა მე-19 საუკუნის გერმანიაში მოახდინეს ფილოსოფიური რევოლუცია და ამით მოამზადეს ბურჟუაზიული პოლიტიკური გადატრიალება. მარქსისა და ენგელსის მიერ საზოგადოებრივ აზროვნებაში განხორციელებულმა რევოლუციამ იდეურად მოამზადა სოციალისტური პოლიტიკური გადატრიალება, რომლის განხორციელებაც ისტორიამ ვ. ი. ლენინს აარგნა.

საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოშიც ისტორიის ამ მაკისტრალურ ხაზს გაყვა. იგი გამოიხატა ქართველ განმანათლებელთა ლიტერატურულ მოღვაწეობაში, რომელმაც ქართველი ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული ერთეული თვითცნობიერება შეიმუშავა და გზა გაუხსნა ქართული პროლეტარიატის კლასობრივ გათვითცნობიერებას. ილიამ და აკაკიმ იხოვეს ცხოვრების აზრი და განახორციელეს კიდევ იგი. მათ ღრმად გაიგეს ის, რასაც „ქამი თიხვდა“ და „წუთის სოფლის სუფრაზე“ თავიანთი მოსატანეც მთლიანად მოიტანეს. ეს მათ შთაავრუნეს ჭაბუკ სოსო ჯულაშვილს იმის რწმენა, რომ „ძირს დავექმული ჩაგროლი“ აღსდგება და ტურფა ქვეყანა — „ივერთ მხარე“ აყვავდება და მოილხნეს.

60-იანი წლებიდან ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკა ყურადღებით ადევნებდა თვალს ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებას და ცხოველ ინტერესს იჩენდა ევროპის მოწინავე აზროვნების მიმართ. ევროპის სოციალიზმის შრავალსახეობათა შორის მას განსაკუთრებით მარქსისა და ენგელსის სოციალიზმი იტაცებდა. იგი მეცნიერულ სოციალიზმს უყურებდა, როგორც სოციალიზმის ერთ-ერთ მიმდინარეობას. მაგრამ ყველაზე ნათლად, ყველაზე მკაფიოდ წსწორედ მასში ხედავდა იმ დიად მოძოვრებას, რომელიც შეუირიველ ბრძოლას უქცადებდა ყოველგვარ ნაკვრას და მსურველად იცავდა ერისა და პიროვნების დემოკრატიულ თავისუფლებას. ორივენი, მარქსიც და ენგელსიც, ხომ „დედემოკრატებიდან სოციალისტები გახდნენ და მათ მტეად ძლი-



ერად ჰქონდათ განვითარებული პოლიტიკური თვითმეზობრისადმი სიძულვილის დემოკრატიული დროშობა.⁵

70-80-იანი წლებიდან ქართულ დემოკრატიულ პრესაში ხშირად ისახებოდა მარქსისა და ენგელსის სახელები. ქართველი პუბლიცისტები განიხილავდნენ პირველი ინტერნაციონალის საქმიანობას, ეხმაურებოდნენ პარიზის კომუნის, ცდილობდნენ მარქსის მოძღვრების თვალთახედვით განიხილონ ჩვენი სინამდვილე და თავიანთი სამოქმედო პროგრამაც მის შესაბამისად დასახონ. ეს იყო მარქსისა და ენგელსის ცალკეული იდეებით, მისი რევოლუციური დოქტრინების სულისკვეთებით გატაცების ხანა, როცა ქართული საზოგადოებრივი აზროვნება მარქსიზმს თანაგრძობით ეხმარებოდა, მის გარკვეულ ნაგულნას განიცდის და ამით მეცნიერული სოციალიზმის გავრცელების წინააღმდეგობის ქმნის საქართველოში.

როცა საქართველოში მარქსისტული მოძრაობა დამკვიდრდა, ქართულმა ეროვნულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მასთან დაკავშირება სცადა საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. აი, განიხილოთ მათგანი:

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ნ. ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის თავისთან, რედაქციაში, მიუწვევია, „ივერიის“ რედაქტორობა შეუთავაზებია და თანაც უთმავს, თუ აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, თქვენ თქვენსას დაბეჭდეთ, მე კი — ჩემსასო. ხოლო როცა ნ. ჟორდანიამ შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა (იგი ამ დროს გ. წერეთელთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, „კვალის“ მარქსისტებისათვის გადაცემის თაობაზე), ილიამ მას ასე უპასუხა: თქვენი ხეზა, იმედი მაქვს ერთმანეთს ხელს არ შევეშლიათ.

ეს ფაქტი მრავლის მიტქვილია. ილია, ცხადია, კარგად იცნობდა ჟორდანიას პუბლიცისტობას, მის საზღვარგარეთობას გამოეზნებოდა მარქსისტულ სტატუსებს და მაინც თავისი გაზეთის მარქსისტებისათვის გადაცემა ისურვა. რით აიხსნება ეს. ერთი შეხედვით, გაუგებარია რა? ეს ფაქტი ადვილი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ქართულ განმანათლებლებში მიერ ისეთი მოძღვრების დაუცხრომელ ძიებებს, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნულ-დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლას გაუადვილებდა. გ. წერეთელმა, როცა „კვალი“ ქართველ მარქსისტებს გადასცა, მათ თურმე ასე უთხრა: „მე მარქსისტი არა ვარ, მაგრამ რაკი ვხედავ, რომ ხალხის გამოღვიძება შეიძლება ამ მხრივ, მეც თქვენთან ვარო“.

ქართული განმანათლებლები ეროვნული დემოკრატიები იყვნენ. ისინი მარქსისტები არ გამხდარიან და არც შეიძლებოდა გამხდარიყვნენ. მაგრამ მათ ისტორიული სიმართლეები მოძღვრების მხარეზე დაიხაზეს, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას უქმნებდა ყოველგვარ ჩაგვრას, ძალბრძოლისა და იდეოლოგიური ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ეს მათ თვალში შესაძლებელს ხდიდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისა და მარქსისტული მუშათა მოძრაობის ერთიან ფორმას მეფის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. და თუ შედეგ საბოლოოებულსა და მარქსისტებს შორის, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძისა და ნ. ჟორდანიას შორის, ბრძოლა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, ეს, უწინარეს ყოვლისა, ბრძოლის წამოწყების — ნ. ჟორდანიას და მისი თანამაზრუნველის შემდგომი პოლიტიკური შედეგი იყო. მათ ნიაქისტური აღმშენებელ მოაწვევებს ქართველ განმანათლებელთა წინააღმდეგ, ნაცვალად იმისა, რომ მათი ანტიცარიზმული განწყობილება გამოიყენებინათ მეფის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით აღვიწყებდა თვალს და თანაგრძობით ეხმარებოდა ე. ენგელსის მოღვაწეობას. 1893 წელს „ივერიამ“ მიკ-

თხველს მოუთხორო ევნშია მუშათა შერეობაზე, მეცნიერული სოციალიზმის მოხუცი წარმომადგენლის“ ფრიდრიხ ენგელსის გამოსვლის შესახებ, გააცნო მისი სიტყვის შინაარსი და ისიც აცნობა, რომ ენგელსი აშკარად 71-72 წლისა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე კაცია, სიბერეს ჯერ არ დაუსვამს მისთვის დაღი უძლეობისა.⁶

როცა 1895 წელს ფ. ენგელსი გარდაიცვალა, მას „ივერიამ“ ნეკროლოგი მიუძღვნა. გაზეთი ფ. ენგელსის ახასიათებს, როგორც „გამოჩენილ სწავლულს“ და სოციალ-დემოკრატიის „შეანაზნავ თეორეტიკოსს“, თანაავტორის ცნობით „კომუნისტური მანიფესტისა“. ავტორს შესანიშნავი წიგნია „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელსაც „მოელმა ევროპამ მიაქცია ყურადღებას“ და თვალსაჩინო თხზულებისა „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. „ივერია“ აღნიშნავს, თუ რაოდენ „დიდი შრომა გასწავა ენგელსმა თავისი მეგობრის კ. მარქსის თხზულების „კაპიტალის“ მეორე და მესამე ტომის რედაქციისა და გამოცემისათვის.⁷

საქართველოში 90-იან წლებში მომხდელ ობიექტური და სუბიექტური პირობები იდვილი რევოლუციისათვის, რომელმაც განამარცხებდა გადასვლა რევოლუციური ეროვნული დემოკრატიზმიდან რევოლუციური კომუნისტურ მარქსიზმში გავრცელება ჩვენში და ამით სოციალიზმი უტოპიად მეცნიერებად იქცა საქართველოში.

ქართველი მარქსისტების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში კ. მარქსის ნაწარმოებებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს ფ. ენგელსის ნაშრომებმა, რომლებიც ჯერ „შრომის განთავისუფლების“ კუთვნილ გამოცემათა სახით, ხოლო შემდეგ ქართულად თარგმნილი, ვრცელდებოდა საქართველოში. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებები პირველად ცალკე გამოცემათა სახით ქართულ ენაზე 1905-1906 წლებში გამოქვეყნდა. ამ დროს სტამბური წესით დაიბეჭდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტის მანიფესტი“ და ენგელსის „სოციალიზმის განვითარება უტოპიად მეცნიერებისაკენ“ და სხვა.

„კვალი“ 1895 წლის ავგუსტის ნომერში აქვეყნებს ცნობას, რომ „გაზეთებმა ფრიად სამუშაოში ამავე მოგვიტანა: სოციალისტების მეთაური, კ. მარქსის უახლოესი და უეროვნული მეგობარი ფრიდრიხ ენგელსი გარდაიცვალა.“ გაზეთი იქვე დასძენს, რომ ფ. ენგელსის გარდაცვალებით მეცნიერული კომუნისმის მოძღვრება „ძლიერესი თეორეტიკოსი მოაკლდა.“⁸ სექტემბერში „კვალში“ აქვეყნებს თავისი საზღვარგარეთული კორესპონდენტის ვრცელ სტატეისა სახელწოდებით: „ფრიდრიხ ენგელსი.“⁹ მასში მოთხრობილია მარქსისა და ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, განხილულია მათი მსოფლმხედველობის განვითარება, ჩამოყალიბებულია მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი დებულებები და განსაზღვრულია მისი ისტორიული მნიშვნელობა.

სტატეიაში დაწერილობით არის აღწერილი მეორე ინტერაციონალის ციურის კონგრესი (1893) ფ. ენგელსის ყოფნა, 12 ავგუსტის კონგრესის დასკვნით სხდომებზე მისი გამოსვლა. კონგრესი ფ. ენგელსს მქუხარ ტპოვითა და ვამას ძახილით შეხდა. „გაუმარჯოს ენგელსს! ჭუხდა ხალხი 12 სხვადასხვა ენაზე.“ თვაციას დასასრული არ უჩნდა. თავმჯდომარეც თხოვნები წუთის შემდეგ, როგორც იქნა, სიწუვე ჩამოაგდო. ენგელსის გამოსვლის შემდეგ კი „საზოგადოება ისეთ აღელვებაში მოივცა, რომ თავმჯდომარე იძულებული იყო სხდომა რამდენიმე წუთით შეეწყვიტა.“ მეოთხველს ისეთი წარბოდეგა ექმნება, რომ ამ ამბის მიხრობული, ამ დროს შევიცარიში მივით, ესწრებოდა კონგრესის, ჰანდარბის უცქრება, უსმენდა ფ. ენგელსს და მეოთხველს თვით უშუალოდ განცდილ შობამედილებას აწუდიდა.

დასკელი მიუთითებს რა მარქსისა და ენგელსის ისტორიულ დამახასიათებლებს, აღნიშნავს, რომ მარქსამდე ვერავინ შესძლო ბურჟუაზიული საზოგადოების საიდუმლოების ამოხსნა და სოციალური უთანასწორობის, მასწინელი კანონების განხილვა. ხსენს კი ბევრი დადებითი. მაგრამ ხელის რეფორმატორი (სენ-სიმონი, ფურიერ, პრუდონი, ლუვი ბლანდი და სხვ.) ერთ საერთო ნიდავზე იდგნენ, ერთსა და იმავეს გაიხატებდნენ: ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესებში, „ერთად მოვითავსოთ...“ მუშათა მოძრაობამ საქმით, პრაქტიკით დამტკიცა, რომ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის „თორიგება შეუძლებელია...“ მაგრამ სხვადასხვა ჯერის რეფორმატორები მაინც არ იშლიდნენ თავისას და შეურიგებლობის შერიგებას ცდილობდნენ. მხოლოდ „კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა, წინააღმდეგ ყველა თანამედროვე რეფორმატორთა, ყველა მოწაზურეთა და მოღვაწეთა, გამსაცხადებ: ხსენ ერთადერთიაო. მუშას ხალხმა უნდა დასდეს ბურჟუაზია, ისე, როგორც უკანასკნელმა თავადაზნაურობა დასცაო.“

პროლეტარიატი იმისთვის არის მოწოდებული, რომ ბურჟუაზიის ბატონობას ბოლო მიუღოს, წარადგინოს მას პოლიტიკური ბატონობა და იგი თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს. „კვალის“ პუბლიცისტი ქართულ პრესაში პირველად იხსენიებს პროლეტარიატის დიქტატურის მცენებას, მას უკავშირებს კლასების მოსაპოვება და სოციალური თანასწორობის დამყარებას. მისი თქმით, „პროლეტარიატის დიქტატურა, მისი გამარჯვება, ამავე დროს თანასწორობის დიქტატურა და გამარჯვებაა.“

სტატის ავტორი აღნიშნავს, რომ მუშათა მოძრაობამ დადებითი შედეგი ვეროპის ბურჟუაზია, მას რევოლუციურობა წაართვა. ცხადი გახდა, რომ „ევროპის ბურჟუაზიამ დაკარგა რევოლუციური როლი, ის მუშათა კუთვნილებად შექმნა“. იგნოსისა და საფრანგეთის რევოლუციებში შეთარება ბურჟუაზიას ეკუთვნოდა. მაგრამ ასეთივე რევოლუცია, რომ გერმანიაში ან სხვა ჩამორჩენილ ქვეყანაში მომხდარიყო, ბურჟუაზია ვიდრე შესარულდება მთავრის როლს, რადგან „მას უკვე გამოეცალა რევოლუციური თანასწორობის ძალა. ამისთვის აუცილებელი გახდა მუშას ხალხის განეითარება და გაკეთილყოფა.“ პროლეტარიატი — აი, ვინ არის დღეს „პოლიტიკური თავისუფლების ავტორი და სად უნდა მოძებნოს თანამედროვე ინტელექტუალური სა-მოქმედო ნიდავი.“ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატის ავტორს შესაძლებელი მაინცია, „იქ, სადაც ბურჟუაზია არ გაბატონებულია, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ძველი წყობილება, მუშას ხალხს უნდა შეერთდეს ბურჟუაზიას და საერთო ძალღონით დალევოს მათი ბურჟუაზია.“

სტატია მოაგრდება ქართველი მეცნიერებისადმი მოწოდებით: მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს კომუნისტური მეცნიერება და მუშას ხალხის გამარჯვების სულიერი იარაღი გამოქვეყნეს. იგი უნდა გახდეს ყველა იმის კუთვნილება, ვისაც „სწავლა და მოქმედება სწავრია.“

მარქსმა და ენგელსმა დიდი დავალი უკავიათ ი. სტალინის აღრინდელ, თბილისის პერიოდის ნაშრომებში. იგი მეწვეიების, ანარქიზმის, სოციალ-დემოკრატიზმის ოპორტუნისტულ და ანტიმარქსისტულ შეხედულებათა კრიტიკისა და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის და პოლიტიკის დაცვის, დასაბუთების და პროპაგანდის დროს მსტატურად იყენებდა მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებს.

ი. სტალინი შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ როდენ დიდი ჯახიანი და წვალება დასჯილბა კაცობრიობის აზროვნებას ვიდრე მეცნიერულ სოციალიზმს მიადგებიდა, რომლის შემუშავებამ მარქსისა და ენგელსის ისტორიული დამახასიათებელია. მან გარკვევა სოციალისტური ცხოვრების წარმოშობისა და როლის საკითხი მუშათა მოძრაობაში და მიუთითა ფ. ენგელსის 1891-1894 წლების წერილებზე, რომ-

ლებშიც დამტკიცებულია, რომ იდეა ცხოვრების ღებობაში შეიღია, მაგრამ არა იგი წარმოიშვა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ მოძრაობაში.“

1905 წლის რევოლუციის პერიოდში, როცა საერთო-სახალხო აჯანყების საკითხი დიდს წყნარებას დდება, ი. სტალინმა საციალური სტატია მიუძღვნა მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა და ორგანიზაციის შესახებ. ხოლო როცა დაასაბუთა პარტიის ხელმძღვანელი როლი მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, დამიოშვა ენგელსი, რომელიც ამბობდა, რომ მუშათა პარტია „შეგნებული გამომხატველია შეგნებული პროცესისა.“

ი. სტალინის აღრინდელი ნაშრომები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ღრმად იყო იგი უკვე მამის დაუფლებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსმა ნაწარმოებებს და როგორ შესანიშნავად შეეყო მუშაქმედობათა გამოყენებისა მარქს-ენგელს-ლენინის გენიალური ნააზრევი კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

1905 წლის სოციალ-დემოკრატიული მკვებით „მოგზაურის“, რომელსაც ფ. მასარატი რედაქტორობდა, ფ. ენგელსის გარდაცვალების ათი წლის თავზე აქვეყნებს ვრცელ სტატიას: „ფრიდრიხ ენგელსი.“¹⁰

ავტორი მარქსისა და ენგელსის სიღაღეს იმაში ხედავს, რომ მათ შემოქმადვეს მეცნიერული სოციალიზმის თეორია და იგი მუშათა პრაქტიკულ მოძრაობას დაუკავშირეს. მათ იდეურად გაანდურეს უტოპიური სოციალიზმი და მეცნიერულად დამტკიცეს, რომ მხოლოდ „პოლიტიკურად გამარჯვებული პროლეტარიატი შესძლებს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებას.“ მარქსმა და ენგელსმა კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის აუცილებლობაზე მიუთითეს და ამ ისტორიული პროგრესის საშუალება მუშათა კლასის ძალასა და უძველესობაში დაინახეს.

ფ. ენგელსის ცნობილი ნათქვამის გამო, რომ იგი მეცნიერულ კომუნისმის შექმნაში მჭიდრო მეცნიერულს როლს ასრულებდა, სტატის ავტორი შენიშნავს: „თუ მარქსს პირველ სერიატას შევადარებთ, შეუძლიადალ მეცნიერული ვიყავა, მათ ამ სერიატის ციურ და წარმტყვ ხმებს ვერავინ ვერ შეუწყობდა და დამაშვენებდა ისე, როგორც მტერი სერიატა ენგელსის. მარქსმა და ენგელსმა ერთად შექმნეს შეურყვეველი თეორია მეცნიერული სოციალიზმისა.“

„მოგზაურმა“ გამოაქვეყნა ფ. ენგელსის ნაშრომის „პოლიტიკური კონიომის კრიტიკის“ ნაწილი და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. იგი დაბეჭდილია, უთუოდ კონსპირაციული მოსაზრებით, ავტორსზე მიუთითებლად და ნაშრომის პირველი თავის სახელწოდებით: „ბურჟუა და პროლეტარიატი.“

მეშვევიების მმართველობის წლებში გამართულ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში ქართველი ბოლშევიკების მძლავრ იდეურ იარაღს წარმოადგინდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, მათ შორის ფ. ენგელსის ნაწარმოებები. ქართული კომუნისტური პარტიის ფურცლებზე ქვეყნებოდა მათი სახელმძღვანელო დებულებები, გამოთქმები კლასთა ბრძოლის, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ამით ბოლშევიკები ქართველ მშრომელ მასებს ემპირიოდენენ მოეცებნათ უტყურარი პასუხი იმ საჭირობებზე საკითხებზე, რომლებიც მათ ასე აღულებდათ. თანაც ისიც დაენახათ, რომ ბურჟუაზიული-ნაციონალისტურ მიმდინარეობად გადაგვარებულ ქართულ მეწვეიზმს მარქსისტული მხოლოდ სამიში შერჩა.

კ. მარქსის და ფ. ენგელსის განთქმული „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოიჭრა ორჯერ (1917 და 1919 წლებში), ხოლო 1920 წელს — ცნობილი „მიმართვა კომუნისტური კავშირისადმი.“ ძნელი გასაგები არ არის, თუ

რატომ შეიარეობ ბოლშევიკებმა თავიანთი ყურადღება მარქსისა და ენგელსის ამ ნაწარმოებებზე. მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ჩამოაყალიბეს მეცნიერული კომუნისმის ძირითადი პრინციპები, გასაზღვრეს პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული როლი, როგორც კაპიტალიზმის მესაფუთვასა და კომუნისმის შემოქმედისა, რაც სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მექანიზმს შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ხოლო „კომუნისმის...“ განსაზღვრეს განუწყვეტელი რევოლუციის იდეა. ამ ნაწარმოებებმა ქართველ მკითხველებს ნათლად დააჩვენეს, რომ რევოლუცია არ უნდა დამთავრდეს თურქების რევოლუციის გამარჯვებით და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით. რევოლუცია განუწყვეტელი უნდა გაგხადოთ მანამდე, ვიდრე მუშათა კლასი არ დაიპყრობს სახელმწიფო ხელისუფლებას და მის ხელში თავმოყრილი არ იქნება „გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სწავრობო ძალები...“ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა გერმანელი წერილობრივ ბურჟუაზიულ დემოკრატების კრიტიკისას, თითქმის „მარქსსა და ენგელსს ქართველი მეწამელები ყადაღა მივადევლობთ...“, როგორც სწორად შენიშნეს ბოლშევიკურ პრესაში. ამ ნაწარმოებზე გამოქვეყნებული რეცენზიის ავტორმა ქართველი მეწამეების პროლეტარიატის დიქტატურას რომ გადაჭრით უარყოფდნენ, ფაქტისგულურად გაიანთხინენ, ჩვენ საერთოდ ძალადობის წინააღმდეგნი ვართ. მათ ქართველმა კომუნისტებმა ენგელსის სიტყვებით უპასუხეს: „რომ ძალმომრება სხვა როლსაც ასრულებს ისტორიაში, რევოლუციურ როლს, რომ იგი, მარქსის სიტყვით რომ თქვათ, ბიბია ქალია ყოფილი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ორსულადაა ახალი, რომ ძალმომრება იარაღია, რომლის შემწეობითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გასცა იგვალავს და გაქცევილებს, მომავალე პოლიტიკურ ფორმებს ამხსნევს...“¹² ხოლო ამ ქართველი ფილოსტრებებს, რომლებსაც პროლეტარიატის დიქტატურის გათვლითაც კი შიშს გავიდა, ქართველმა ბოლშევიკებმა გერმანელი ფილოსტრების მისამართით ენგელსის სიტყვებით ასე უპასუხეს: „თუკენ გნებავთ მოწყალოთ ხელმწიფეთ, გაგიოთ ეს დიქტატურა? მამ შეხადეთ პარიზის კომუნის, სწორედ ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა.“

ქართველი ბოლშევიკები თავიანთ პროპაგანდისტულ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ერთგულ საკითხს, რომელიც ასე მწვავედ იდგა მათსა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

მათ ქართველ მკითხველს განუმარტავს, რომ მარქსი და ენგელსი ნაციონალური საკითხს განიხილავდნენ, როგორც რევოლუციის შემადგენელ ნაწილს და მას კონკრეტულ-ისტორიულ ნივთსაც უხადებენ. ეს ნათლად ჩანს 1848-1849 წლების რევოლუციების მაგალითზე, როცა მას საზოგადოება დაყვეს „რაგანიკული ხალხებად“ და „რევოლუციურ ხალხებად...“ იმის მიხედვით თუ ობიექტურად ვის იარაღს წარმოადგენდა მათი ნაციონალური მოძრაობა — რევოლუციის თუ კონტრრევოლუციის და ამის მიხედვით განსაზღვრებდნენ მათდამი თავიანთ პოზიციას. გმობდნენ თუ მხარს უჭერდნენ ამა თუ იმ ხალხის ერთგულ მოძრაობას.

ქართველი ნაციონალისტები იმოწმებდნენ „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციას“ და ქართველ ბოლშევიკებს უკვირებდნენ „ჯულაშელ-სტალინის პირდაპირ და გახეულ დეკრეტს“ ალატომთ, რაკი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი ხართ და, მამსადავებ, პრაქტიკულად ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლებას უარყოფთ. ქართველი ბოლშევიკები მშრომელ მასებს განუმარტავდნენ, რომ მარქსისტებისთვის სახელმწიფოებოება არა ერთგული, არამედ კლასობრივი თვითგამორკვევა. ქართველი კომუნისტები აღიარებდნენ ქართველი ერის

თვითგამორკვევის უფლებას. მაგრამ ამ უფლების განხორციელებას შექმნილ პირობებში ქართველი ხალხისთვის საზიანოდ თვლიდნენ, რადგან „საქართველოს და მის პროლეტარიატს მოსწყვეტდა რუსეთის რევოლუციის და მსოფლიო იმპერიალიზმის კლანჭებში ჩაყვადება.“¹³

ერთა თვითგამორკვევის უფლება ეკმედებებოდა პროლეტარიატს უფლებად — განამტკიცოს მოპოვებული ძალაუფლება. იმ შემთხვევაში, თუ ერთგული თვითგამორკვევა დუპირისპირად „უშაღებს უფლებას“ — გამარჯვებულ პროლეტარიატის მისწრაფებას განამტკიცოს თავიანი ძალაუფლება, „თვითგამორკვევის უფლებად არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს დაბრკოლება. იმ საქმისათვის, რომ მუშათა კლასმა განახორციელოს თავისი დიქტატურის უფლება.“¹⁴ პირველმა უკან უნდა დაიბნოს მიერის წინაშე. ამის მაგალითია 1920 წელს წითელი არმიის ღაშქრობა ვარშავაზე, რათა დაეცვა რევოლუციური რუსეთის მუშათა კლასის ძალაუფლება.¹⁵

რევოლუციამდელი საქართველო წარმოადგენდა ცკონომორად ჩამორჩენილ აკრათულ ქვეყნას, სადაც მუშათა მოძრაობა სუსტი და ჩამოუყალიბებული იყო. ანტატივის იმპერიალისტურ ბაღში გახეული მეწამეკური საქართველო რევოლუციურ რუსეთთან მტრულ ურთიერთობაში აღმოჩნდა. ი. სტალინი ეგებოდა რა კავკასიის თვითგამორკვევის საკითხს, ამბობდა: „იძულებული ვართ განვაძრით ერთგულიდებული საქმეკალიკი ომი, რომელიც არსებითად წარმოადგენს ბრძოლას ორ მიმდინარეობას შორის — ერთი მიმდინარეობა ცილობის განაპირა მხარეებში დაამკვიდროს კოალიციური, შემთანხმებლური ხელისუფლება, ხოლო მეორე იბრძვის სოციალისტური ხელისუფლების დამყარებისათვის.“¹⁶

ქართული ბოლშევიკური პრესა ფართოდ გამოხმბურავდა ენგელსის დახადების ასი წლისთავს. გაუხმბა „ახალი კომუნისტმა“¹⁷ მას მიუძღვნა მეთორწი წერილი, ვრცელი სატატია და რეცენზია მარქსისა და ენგელსის ცნობილ „მომართავს...“ რომელიც იმ ხანებში დაიბეჭდა ქართულ ენაზე. აგრეთვე გამოაქვეყნა რამდენიმე ამონაწერი ენგელსის ნაწარმოებებიდან, რომლებიც საზგასმულია, რომ არა მარტო მონაჩაქა, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკაც საზოგადოებრივ მბრძანებლობის ორგანოა. მუშათა კლასი, როცა ძალაუფლებას ხელში ჩაივლებს, ძველ სახელმწიფო აპარატს დაამხრევებს და ახალ, საკუთარ პროლეტარულ სახელმწიფოს შექმნის. ეს იქნება პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფოებრივ ფორმაში გამოვლინდება.

გაუვით ქართველ მკითხველს აწვდის ფ. ენგელსის ბიოგრაფიული ცნობები, ახასიათებს მის მთავარ ნაწარმოებს, უჩვენებს მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას. „ახალი კომუნისტის“ პუბლიცისტის თქმით, მარქსი და ენგელსი იყვნენ ორი თანამეზობელი და ძმანაფიცი მეზობელი, მეცნიერული კომუნისმის გენიალური შემოქმედნი. მათ ერთად შექმნეს პროლეტარიატის ახალი სახეობა — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია — პირველი ინტერკონცოლი. მათ ბევრი რამ ისეთი მოიმოწმებდეს, რაც მუშათა მოძრაობას შეგებული პოლიტიკური ბრძოლის სასიათს აძლევდა.

„ახალი კომუნისტი“ უხსნის მკითხველს, რომ „რუსეთის პროლეტარული რევოლუცია, რომელიც მარქსისა და ენგელსის მიერ ნაწვევებ გზას დადგოდა, ბრძოლით ანხორციელებს მათ ანდერგს“ და, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობა, რომელსაც თანდათან იპყრობს მეცნიერული სოციალიზმის მოძველება, გარდაცემს კაცობრიობას „იმ გუგზით, რომელიც მარქსსა და ენგელსმა გამოგვიტანეს თავიანთ უკვლავ ნაწარმოებებში.“¹⁸ მთელი მსოფლიო მოიცვა იმ

რევოლუციურმა პროცესმა, რომელიც მარქსმა და ენგელსმა განჭვრიტეს. მონობის ქვეყანა იხგრევა. აუცილებლობის სამეფოს თავისუფლების სამეფო ცვლის.

90-იან წლებში, როცა მუშათა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო და მარქსის მიერ ნაჩვენები გზით წარიმართა, ენგელსი ნატრობდა: „ნეტავე მარქსი დღეს ცოცხალი იყოს, რომ ეს საკუთარი თვლით ენახა.“ ენგელსის დაბადების ასი წლისთავზე, 1920 წელს, „ახალი კომუნისტის“ პუბლიცისტი იგონებს ენგელსის ამ ნათქვამს და წერს: ახლა, როდესაც „ძღვეამოსილი პროლეტარული რევოლუცია მარქს-ენგელსის დროშის ქვეშ მიმდინარეობს, ჩვენ ვიტყვი: ნეტავე მარქსი და ენგელსი ცოცხალნი იყე-

ნენ, რომ თავისი თვლით ენახათ ის ქვეყნის მხსნელნი“⁹ ცილისტური რევოლუცია, რომლის პირველი მოციქულები ისინი იყვნენ.“

ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქას. მარქსიზმ-ლენინიზმი ადამიანთა პრაქტიკული საქმე გახდა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა სოციალისტური საზოგადოება, დაიწყო ახალი სამყაროს ჩამოყალიბება. მარქსიზმ-ლენინიზმის დროში მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის ისტორიული პროცესი, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ.

შენიშვნები:

- 1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 7.
- 2 ა. წულუკიძე, თხზ., გვ. 103, 295.
- 3 ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 12.
- 4 იქვე, გვ. 18.
- 5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 16.
- 6 ვახ. „ივერია“, 1893 წ., № 197.
- 7 ვახ. „ივერია“, 1895 წ., № 163.
- 8 ეჭრ. „კვალი“, 1895 წ., № 34.

- 9 „კვალი“, 1895 წ., №№ 39, 40, 41.
- 10 ვახ. „მოგზაური“, 1905 წ., №№ 31, 32.
- 11 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 104.
- 12 ფ. ენგელსი, ანტი-დიოტრეტი, გვ. 217.
- 13 ვახ. „კომუნისტი“, 1920 წ., № 7.
- 14 ი. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 293.
- 15 ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 39.
- 16 ვახ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., № 106.

გ. ნარბანი.

შეთქმულა.



გალაკტიონი სოხუმში

ეთერ ქაჯაია

„ცხვ რუმ არის დიოსკურიის,
„მისთანასი არ ვარ მნახველი“.

(ბალატიონი).

09/1927 წლის 13 თებერვალს, თბომავალ „თეოდერ ნეტეს“ კურსი ბათუმთან სოხუმისაკენ ავლ. ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებდა, კოკისპირულად წვიმდა, ცას ტყვიისფერი გადაკვროდა.

„მან დამსგავსა მგზავრობა ჩემი
ცხოვრების ჩემის აბოხოქრებას“ —

ბობოქრობდა აზრიც და იბადებოდა გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები:

„იქუხე — გასწვრი! არ ავტირდები,
არც შებრალებას ვიხოვ არასდროს“.

ეს მშფოთვარე მგზავრობა პოეტს მისი აბობოქრებული ცხოვრების სიმბოლოდ წარმოესახსა და იგი ამაყად ფიქრობდა:

„მე სხვანაირად ზვითო მოვსახე,
მზემ ჩემგენ შუქი რა მოიდება,
ბოლოს ხომ მაინც მე შემოვძახებ,
გაზარტვებული ბრძოლის სიმღერა“.

ზღვა არ მშვიდდებოდა... და... გემს ფოთში შეყვინდა, სოხუმის ნაწესად ბურს კი ორი დღის დავაიანებთ, 15 თებერვალს, მიუახლოვდა. ახლა ზღვა

წყნარი და გამჭვირვალე იყო. გალაკტიონმა, გემბანზე შეფენილ მგზავრებთან ერთად, წყალში ნანგრევები შენიშნა. ზღვის ქვეშ გაწოლილიყო ნამოსახლარი. წყალს დაეფარა ადამიანთა ნიჭითა და ხელით შექმნილი ძველისძველი დიოსკურია. პოეტის ფიქრი ზღვის ფსკერზე ეშვება, წყალქვეშა თხემებს ეხება, გრძნობს ნანგრევებს, შორეული წინაპრების ლანდებს. ესმის მათი ხმა:

„ჩვენ თვითმკვლელების არა ვართ
გროვად,
არც მებრძოლები ღონემიხილილი“.

და გადმოიღვარა ხოტბა დიოსკურიის ციხისა და მის დაღუბულ ბინადართა.

შთაბუქდილება ძლიერი იყო. პოეტი სიამაყესა და სევდას დაეპყრო. სიამაყესა და სევდას — ადამიანის სიღიადის და დროის უწყალო ფერისცვალებით გამოწვეულს.

„ზღვაზე ზვითობი მოვა და წავა,
ცხოვრება ასე შემისწავლია“.

ამ გარემოებაში დაიწერა გალაკტიონის შედევრი „ქალაქი წყალქვეშ“.

დიოსკურიის უძველესი მიწის ახალი ბინადარნი დიდი სიხარულით

შეეგებნენ გალაკტიონ ტაბიძეს. როგორც ირკვევა, ეს მისი პირველი სტუმრობა იყო სოხუმში. სტუმარი აქ ორ თვეზე მეტ ხანს დარჩა. მაშინ დაიწერა ბევრ სხვა ლექსთან ერთად „ქალაქი წყალქვეშ“. გალაკტიონს აქვს 1946 თუ 1947 წლის განმარტება ამ ლექსის შექმნის თაობაზე. მასში დამოწმებულია მისი უბის წიგნაკის 1928 წლის ჩანაწერი, სადაც ლექსის შექმნის დროდ 1927 წლის ზაფხულია მითითებული. სინამდვილეში კი გალაკტიონი სოხუმში იყო თითქმის მთელი ზაფხული. მისიში ის უკვე ქუთაისშია, ხოლო ზაფხული ბორჯომსა და თბილისში გაატარა (ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968 წ., გვ. 152-160). ეტყობა, პოეტს ერთი წლის შემდეგ ზუსტად ვერ მოუგონებია სოხუმში ყოფნის დრო, მით უფრო რომ 1927 წლის გაზაფხული სოხუმში ძალიან ჰგავდა ზაფხულს.

სოხუმის ქართულმა საზოგადოებამ გალაკტიონის ჩამოსვლისთანავე დაიწყო სამზადისი მისთვის საღამოს გასამართავად.

გალაკტიონი დაბინავებული იყო სასტუმროში (ამჟამად სასტუმრო „რიწა“). ის მალე დაუმეგობრდა ადგილობრივ ინტელიგენციას. განსა-

კუთრებით ახლოს იყო მსახიობ ილიკო ჯუღელთან. პოეტს აჯადოებდა ზღვა. გამვლელები ხშირად ხვდებოდნენ სანაპიროზე ჩაფიქრებულ გალაკტიონს.

ლიდა ვეკუასა და ალექსანდრა ნემსაძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ პირველი შეხვედრა გალაკტიონს მოუწვევს სოხუმის ქართველმა მასწავლებლებმა. იმხანად სოხუმში ოთხი ქართული სკოლა იყო, მათ შორის ერთი საშუალო (ქართული მოსახლეობის სახსრებით აშენებული). საღამო გაიმართა მეორე სკოლაში, რომლის გამგე მაქსიმე ცაავა იყო. საღამოს ორგანიზაციის აქტიური მონაწილენი იყვნენ: თ. ფარცხალაძე, ნ. ვეკუა, ვ. ადამია, მ. ცაავა, ბ. ბენია, ქ. ფარცხალაძე, ბ. ქუთათელაძე, ა. სანაძე, ლ. ვეკუა, ა. ნემსაძე, ი. ცეცხლაძე, მესხი და სხვ. საღამოზე გამოსული მასწავლებლები

ლები და მისწავლეები გულთბილი სიტყვებით მიმართავდნენ დიდ პოეტს და კითხულობდნენ მის ლექსებს. ლ. ვეკუას გადმოცემით გალაკტიონმა გულთბილი მადლობა მოახსენა შეერებით, ლექსი კი არ წაუკითხავს. მე მიყვარს, როცა ჩემს ლექსს სხვა კითხულობს — და მის პოეზიაზე შეყვარებული მისწავლეები მზად იყვნენ თუნდაც მთელი ღამე ეკითხათ საყვარელი პოეტის ლექსები.

საღამოს შემდეგ გაიმართა ვახშამი. ა. ნემსაძის გადმოცემით, სუფრასთან გალაკტიონმა ბევრი ექსპრომტი წარმოთქვა.

1927 წლის 2 აპრილს სახელმწიფო თეატრში დაინიშნა გალაკტიონ ტაბიძის საღამო. შედგა საღამოს მომწყობი კომისია მამო დადიანი-ანჩაბაძის თავმჯდომარეობით. მამო დადიანი-ანჩაბაძე (შ. დადიანის და)

აფხაზეთში ქართული საზოგადოების სული და გული იყო. დაუღალავი მოღვაწე, დიდი პატრიოტი წლების მანძილზე ემსახურებოდა აფხაზეთში ქართული კულტურისა და განათლების საქმეს. კომისიაში შედიოდნენ ვ. ადამია, კ. ძიძარია, ნ. ვეკუა, პ. გუგუნავა, ი. ჯუღელი, ბ. იოსელიანი, ი. ცეცხლაძე და სხვ. საქმეში ჩაებნენ მ. ცაავა, მესხი, ბ. ქუთათელაძე, ა. ანთელავა, ვ. ხუხუა, ნ. კაჭარავა, ლ. სიხარულიძე, ჩაჩავა, დ. გაბუნია, ა. ნემსაძე, ვ. ტაბიძე, ე. ლოღობერიძე და სხვ. (ლ. ვეკუასა და პ. გუგუნავას მოგონებებიდან).

სოხუმში გალაკტიონის გულია მასპინძლები იყვნენ ქართველი სცენისმოყვარეები. მათთან გალაკტიონი დაახლოვდა ი. ჯუღელმა. პოეტი სისტემატურად ესწრებოდა მათ რეპეტიციებსა და სპექტაკლებს (ლ. ბა-

გალაკტიონ ტაბიძე სოხუმელ სცენისმოყვარეებთან 1927 წელს.





გალაკტიონ ტაბიძე სოხუმის ქართულ ინტელიგენციასთან 1927 წელს.

ლათურიასა და ჯ. სანიკიძის მოგონებები). გალაკტიონის საღამოს მოწყობის ფაქტიური მონაწილენი იყვნენ სცენისმოყვარეები: ი. ჯუღელი, კ. დავითაია, ჯ. სანიკიძე, შ. თავაძე, ლ. ვეკუა, თ. ნაჭყვიაძე, ფ. ნაჭყვიაძე, ლ. ბალათურია, მ. ბალათურია, თ. ქუთათელაძე, საჯაია, ბ. ჩიჩია და სხვ.

ძირითადად სცენისმოყვარეები აგროვებდნენ სახსრებს. „ქართველობა გულუხვობდა. განსაკუთრებით ხელგამოღლილი იყვნენ ვაჭრები: ნ. და ი.

ერქომაიშვილები, ბ. თურქია, ი. მოსიძე, მგელაძე, ი. ვეკუა და სხვები. ფ. ერქომაიშვილმა სამი საკოსტუმე გადმოგვცა გალაკტიონისათვის, ხოლო ყრუ-მუნჯმა, ქართული ცეკვების დიდმა ოსტატმა და აფაქიძემ საბუნებისოდ ისინი უსასყიდლოდ შეეკრა“ (ლ. ვეკუასა და პ. გუგუნავის მოგონებანი).¹

საღამო შესანიშნავად მომზადდა. თეატრმა ყველა მსურველი ვერ დაიტია. ხალხი ყვაფილებითა და ოცაციებით შეხვდა საყვარელ პოეტს.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მამო დადიანი-ანჩაბაძემ. მან ილაპარაკა იმ დიდ სიხარულზე, რაც გალაკტიონის ჩამოსვლამ გამოიწვია სოხუმელებში. როგორც დამსწრენი იგონებენ, გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა მასწავლებელმა აბულაძემ. ბევრი თბილი სიტყვა და მისალმება ითქვა. მსახიობმა ჯ. სანიკიძემ პოეტს გულზე მიაბნია ოქროს პატარა ლირა, რომელიც სოხუმის ქართველობამ უძღვნა მას. გალაკტიონმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და მათი თხოვნით „ლურჯა ცხენები“ და „მესაფლავიდან“ ნაწყვეტი წაიკითხა.

მეორე განყოფილებაში წაიკითხეს გალაკტიონის ლექსები და სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს რამდენიმე მოქმედება გედევანიშვილის „სინათლიდან“, რომლის დადგმაც კ. დავითაიამ განახორციელა.

ადგილობრივმა გაზეთმა წერილი უძღვნა სასურველ სტუმარს.

ასევე დაიბეჭდა ხ. ნ. შერვაშიძის რუსული თარგმანი გალაკტიონის ლექსისა „ჩვენ პოეტები საქართველოსი“ («Совская Абхазия», № 70-72, 1927 წ.).

აქვე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებს ვთავაზობთ ორ ფოტოსურათს, რომლებიც გალაკტიონს სოხუმში გადაუღია. პირველი მათგანი გადაღებულია მარტის დასასრულს (1927 წ.) ერთ-ერთ ბაღში. გალაკტიონთან ერთად მასზე აღბეჭდილი არიან სცენისმოყვარეები და ქართული ათწილდის დრამაწირის წევრები. მეორე კი აპრილის შუა რიცხვებშია გადაღებული ზღვის სანაპიროზე, ძველი ციხის ნანგრევებთან, აქ აღბეჭდილია გალაკტიონი სოხუმის ქართულ ინტელიგენციასთან (ორივე ფოტოსურათი ჩემთან ინახება და პირველად ქვეყნდება).

¹ ლ. ბალათურიას, ლ. ვეკუას, ა. ნემსაძის, პ. გუგუნავის და ჯ. სანიკიძის მოგონებანი ხელნაწერის სახითაა და ინახება ჩემთან. ავტორებს მადლობას მოვასყენებ მათი მოწოდებისათვის.

ქმობის ღაგაგვიღრეპელი ხელოვნება

ჩვენს დედაქალაქს ვოლოგორა-დის მუსიკალური კომედიის თეატრი ესტუმრა. თბილისელები პირველად შეხვდნენ გმირი ქალაქის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს. ბუნებრივია, რომ ურთიერთგაცნობას დიდის ინტერესით ელოდნენ სტუმარ-მასპინძლები, მით უფრო, რომ ვოლოგორადის მუსიკალური კომედიის თეატრმა უკვე კარგა ხანია ნიჭიერი და მაძიებელი შემოქმედებითი კოლექტივის ავტორიტეტი მოიხვეჭა. მის ხელოვნებას იცნობენ მოსკოვსა და ლენინგრადში, ტაშკენტსა და კიევში. მიმდინარე გასტროლებით კიდევ უფრო გაფართოვდა ვოლოგორადელთა შემოქმედებითი კონტაქტები, გაიზარდა სიმპათიურად განწყობილ მაცურებელთა რიცხვი.

ყოველივე ამის საწინდარი იყო ის მაღალი პასუხისმგებლობა, რომლითაც სტუმრები ამ საგასტროლო ვიზიტსათვის მოემზადნენ; ვოლოგორადის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ი. გენინმა განაცხადა: „...ცნობას იმის შესახებ, რომ წელს თეატრალურ ხელოსნს საქართველოს დედაქალაქში დავამთავრებდით, თეატრის მთელი კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა. ეს განწყობილება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით და მთავარი ის გახლავთ, რომ ყველა ხელოვანს სურს ოსტატობის გამოცდა ისევე, როგორც და გემოვნებიანი აუდიტორიის წინაშე, როგორც არის თბილისელი მაცურებელი. ამასთან

ერთად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე რამდენიმე სეზონის მანძილზე წარმატებით იდგმებოდა ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის ოპერეტა „შესანიშნავი სამეფლი“ და იგი მხოლოდ მაცურებლის კი არა, შემოქმედებითი დასის ერთ-ერთ საყვარელ სპექტაკლადაც იქცა. ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ არის საკვირველი, რომ თბილისელებთან შეხვედრა გვწყურდა“.

უკანასკნელი წლების მანძილზე თბილისში არ ყოფილა მოქმედი რესპუბლიკების არც ერთი მუსიკალური კომედიის თეატრი. ამიტომ ჩვენი საზოგადოებრიობა გაორკეცებული ინტერესით შეეგება ვოლოგორადელთა შემოქმედებით კოლექტივს, ყურადღებით ეცნობოდა გასტროლიორთა შემოქმედების სხვადასხვა მხარეს — რეჟისურას, მხატვრობას, ვოლოგორადელთა, თეატრის ძირითადი დეჟურ-მხატვრულ ტენდენციებს. ყურადღასღები იყო ამ კოლექტივის სარეჟერტურაო პოლიტიკაც.

ვოლოგორადელებმა საგასტროლო პროგრამაში 13 სპექტაკლი შეიტანეს. მათ ტოლფასოვანი მნიშვნელობა მიანიჭეს საოპერეტო კლასიკასა და თანამედროვე კომპოზიტორთა მუსიკალურ კომედიებს. ამიტომაც საგასტროლო აფიშებზე საოპერეტო ჟანრის გამოჩენილი დიდოსტატების — ი. შტრაუსის, ლევარის, კალმანის სახელების გვერდით ეწერა სამჯობთა ავტორებისა და თანამედროვე

უსტოელი კომპოზიტორების გვარები. ასეთი მრავალგვაროვანი რეპერტუარი ყოველმხრივ საინტერესო იყო, რადგან, ერთის მხრივ, იგი ხელს შეუწყობდა კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციის მაქსიმალურ გამოვლენას, ხოლო, მეორეს მხრივ, წარმოვიდგინებდა საოპერეტო ჟანრის ფართო პანორამას, მისი ევოლუციის თვალსაჩინო სურათს.

კლასიკური საოპერეტო მემკვიდრეობიდან ვოლოგორადელებმა განასხიერეს: შტრაუსის „ღამურა“ და „ღამე ვენეციაში“, ლევარის „მზიარული ქვრივი“ და „გომას სიყვარული“, კალმანის „მომხარტრის ია“. ცნობილია, რომ საოპერეტო კლასიკა წარმოადგენს იმ აუცილებელ შემოქმედებით სკოლას, რომელშიც ხდება სამეფურებლო კოლექტივის პროფესიული ჩვევების კრისტალიზაცია, გამოშახველობითი რესურსების დაგროვება, მრავალფეროვანი მხატვრული ხერხის გამოშვავება. კლასიკური მუსიკალური კომედიების დადგმით თეატრი საფუძვლიანად ეუფლება ჟანრის სპეციფიკურ თავისებურებებს, ქორეოგრაფიული და ვოკალურ-აქტიორული საშუალებების კოორდინირებას. მეორეს მხრივ, სწორედ ეს ქმნილებები მოითხოვენ ახლებურ გააზრებას, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების მაღალ პოზიციებთან დაახლოებას, რაც აქტიური შემოქმედებითი ძიების სტიმულია.

ვოლოგორადელთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ გამოიყენეს სა-

ოპერეტო კლასიკის ეს დიდი შესაძლებლობანი. მის საფუძველზე წარმართეს თეატრის მხატვრულ პროფილის ჩამოყალიბება, სიახლის ძიება, ტრადიციების კანონზომიერი განვითარება. ამიტომაც მუსიკალური კომედის პოპულარულმა ნაწარმოებებმა ახლებურად გაიყვანეს, ამ სპექტაკლებმა ცხადყვეს კოლექტივის შემოქმედებითი ენერჯია, პროფესიონალიზმი, საშემსრულებლო ოსტატობა.

თეატრის რეპერტუარში ყურადღება მიიპყრეს საბჭოთა კომპოზიტორთა ოპერეტებმაც, რომელთა შორის აღსანიშნავია მილუტინის „ჩანტა“, სანდლერის „განათიდი“, ბასნერის „გვეჭირდება გმირი ქალი“, „პოლარული ვარსკვლავი“. წარმოადგინეს აგრეთვე თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორის დომენიკო მოდუნის „შავი ურჩხული“. ამ ნაწარმოებებით საოპერეტო ჟანრში შემოიჭრა პერიოკული თუ ყოველდღიურობის ამსახველი თემატიკა, მოქალაქობრივი პათოსი, შრომისა და გმირობის, მეგობრობისა და მალალი მორალის რომანტიკა. შესაძლოა, აღ-

ნიშნული ოპერეტები ერთ სიმაღლეზე არ დგანან, მაგრამ მათი წარმოსახვა საგრძობლად აფართოვებს მხატვრული და იდეური პრობლემების სფეროს, ხელს უწყობს ამ ჟანრის განვითარებას ჩვენში და შემოქმედებით კოლექტებს სრულიად ახალი საშემსრულებლო ამოცანების გადაჭრისაკენ უბიძგებს.

თეატრის მთავარი რეჟისორია რსფსრ ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე ი. გენინი. თბილისელებმა მისი დადგმით ნახეს სპექტაკლები — „განათიდი“, „ჩანტა“, „პოლარული ვარსკვლავი“, „ბოშა ქალის სიყვარული“ და სხვა. ამ სრულიად განსხვავებულ სტილისა და ხასიათის სპექტაკლებში ი. გენინმა გამოავლინა რეჟისორული ერუდიცია, გამოგონებლობა, რეალისტური ხერხების გონივრული გამოყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ რეჟისორი კარგად იცნობს დასის თეატრული მსახიობის შემოქმედებით უნარს, ვოკალურ-აქტიურულსა თუ ქორეოგრაფიულ მონაცემებს. ამიტომაც მის სპექტაკლებში მართებულად ხდება როლების განა-

წილება, რაც მხატვრული სახეების დამკვიდრებლობის საწინდარია.

როგორც ჩანს, რეჟისორის ყურადღების ცენტრში უფრო მთავარი პერსონაჟების ხასიათის გამომწვევის ამოცანა დგას, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ეპიზოდურ როლებს, თუმცა თეატრალურ სცენაზე ასეთი გრადიენტი ყოველად დაუშვებელია. ჩვენს პრესაში თეატრმცოდნე ანზორ ტრაპაიძე აღნიშნავდა იმასაც, რომ „კარგი იქნებოდა რეჟისორი მეტ ყურადღებას უთმობდეს ოპერეტებში მასობრივი სცენების მხატვრული გადაწყვეტილების პრინციპებს, რადგანაც კარგ ოპერეტაში მასობრივი სცენები მორტი სილამაზის ფუნქციებს ირრტ ემსახურება, არამედ აზრობრივი განვითარების კულმინაციური წერტილებია ხოლმე“. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული და სამართლიანი შენიშვნაა, რადგან ზემოთ აღნიშნულ ოპერეტებში საგუნდო-მასობრივი სცენები არა მარტო მოქმედების განვითარების ფონს ქმნიან, არამედ ისინი უშუალოდ მონაწილეობენ სცენური მოვლენების მსვლელობაში, მოქმედ გმირთა ცხოვრებაში.

აღნიშნულ სპექტაკლებში ზოგჯერ აღინიშნებოდა გრძლიობები, გასანგრძლივებული პაუზები, გაჭიანურებული ეპიზოდებიც. ყოველივე ამის აცილებით თეატრი მნიშვნელოვნად ასწევდა წარმოდგენების ხარისხს.

თბილისელთა ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა რეჟისორმა ი. ბურეშ. მისი დადგმით მიდიოდა ი. კალმანის საყოველთაოდ ცნობილი ოპერეტა „მონმარტრის ია“. ამ ნაწარმოების დადგმა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან გამოჩენილმა უნგრელმა კომპოზიტორმა კალმანმა საოპერეტო ჟანრში შეიტანა სერიოზული დრამის ელემენტები. მის ოპერეტებში კომედიურ ინტრიგას ძირითადად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები აწვითარებენ. ნაწარმოების ცენტრში კი დგას მღვლეარე დრამატული კონფლიქტი. კალმანი ქმნის საკმაოდ რთულ ფსიქოლოგიურ სახეებს, რომელთა დახასიათებისათვის იგი მი-

სცენა ვოლგოგრადის მუსიკალური კომედის თეატრის სპექტაკლიდან „ლამერა“. ფაქი — ი. გრომოვი, ადელი — ტ. პოდგეიჩიხინა.



მართავს მუსიკალური მასალის ლე-
იტმოტივური განვითარების პრინცი-
პებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს
ლეიტმოტივები, მოქმედების განვი-
თარების შესაბამისად, მნიშვნელო-
ვან ტრანსფორმირებას განიცდიან.

ყოველივე ეს დამახასიათებელია
კალმანის ოპერეტისათვის „მონმარ-
ტრის ია“, რომელიც საოპერეტო გან-
რის ბრწყინვალე მონაპოვად არის
მიჩნეული. ეს არის მღელვარე ლი-
რიკული დრამა. იგი პუჩინის ოპერა
„ბოჰემის“ თავისებური პერიფრაზია.

რეჟისორმა ი. ბუენო წარმატებით
გაართვა თავი აღნიშნულ სირთულე-
ებს. მან რელიეფურად გამოძიწა
სპექტაკლის რთული ფსიქოლოგი-
ური ურთიერთობანი, ორგანულად
შვათავსა იუმორი, ლირიკა, ჟანრუ-
ლი და დრამატული საწყისები. ყო-
ველივე ამასთან ერთად რეჟისორმა
გამოაღვინა ფაქიზი პოეტური ხედვა,
ნამდვილი თეატრალური ალღო. ამ
მხრივ შედარებით ნაკლებად გამო-
სახველი აღმოჩნდა სპექტაკლის მე-
სამე მოქმედება. აუცილებლად მიე-
ვანია მისი დახვეწა.

უდავოდ, კალმანის ოპერეტა
„მონმარტრის ია“ ვოლგოგრადის
მუსიკალური კომედიის თეატრის
ერთ-ერთი საინტერესო ნამუშევარია.

საკმაოდ კარგი საშემსრულებლო
დონე გამოავლინეს თეატრის ნიჭი-
ერმა არტისტულმა ძალებმა. აქ თავ-
მოყრილია სხვადასხვა შემოქმედე-
ბითი ინდივიდუალობის მსახიობი.
ისინი ფლობენ ქორეოგრაფიულსა და
ვოკალურ გამოსახველობას, მკაფიო
დიქციას, პლასტიკურ მიზარ-მიზრას.
მათ გამოშუშავებული აქვთ ამ მრავ-
ალრიცხოვანი საშემსრულებლო კომ-
პონენტების ორგანიზების უნარი, ან-
სამბლურობის გრძობა. ისინი აღ-
წევენ ვოკალურ-სცენური დინამიკის
შეუნებლემელ განვითარებას. ყოველი-
ვე ეს მეტყველებს ვოლგოგრადელთა
ნიჭსა და თვალსაჩინო პროფესიულ
დონეზე. აღსანიშნავია ისიც, რომ
თეატრში მკაფიოდ არის გამოკვეთი-
ლი სხვადასხვა ამპლავის მსახიობე-
ბი, მოძებნილია მათთვის ახლებელი
სახეები და ხასიათები.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება



„ჩანაჩა“. ჩანაჩა — ს. მიხლინა, პაბლო — ი. როდნო.

ნოსადინეს მაცურებელზე რსფსრ
დამსახურებულმა არტისტებმა ნაზმა
ტ. პაპინამ, ტემპერამენტულმა მ. ტა-
უბემ, ფსიქოლოგიური გარდასახვის
ოსტატმა ვ. ჟიგაგომ, საინტერესოდ
ანსახიერებდნენ პაროდულ, სახასი-
ათო როლებს — ი. გროშოვი, ს.
ალიანცევი.

სპექტაკლების წარმატებაში თავ-
ვისი წვლილი შეიტანეს თეატრის
ახალგაზრდა მსახიობებმაც. თვალსა-
ჩინო ვოკალურ-სცენური მოხაყე-
ბით გამოირჩეოდნენ — ი. როდნო,
ს. მიხლინა, მ. გალიმხანოვა, ი. ჩირ-
კინი, მ. ბოგატოვა, გ. სლავინსკი,
ა. კუზმინი, ი. ბუროვი, გ. შატოვს-
კი, ნ. იურჩენკო, გ. კარელივი, დ.
პოდბერიოჟკინა, მ. სიდორენკო და
სხვები.

ვოლგოგრადის მუსიკალური კო-

მედის თეატრში ნიჭიერი და გამოც-
დილი დირიჟორები მოღვაწეობენ.
არსებითად მათზეა დამოკიდებული
სპექტაკლების მუსიკალური დონე.
ისინი ქმნიან საოპერეტო ნაწარმო-
ებების იდეურ-მხატვრულ ინტერპრე-
ტაციას, მყარ ძთლიანობაში ჰკრავენ
ამ რთული სინთეტური ჟანრის მრავ-
ალგვარი გამოსახველობით საშუა-
ლებას. მუსიკალური კომედიის სპეცი-
ფიკური თავისებურებების ღრმა
ცოდნა გამოავლინა თეატრის მთავ-
არმა დირიჟორმა რსფსრ დამსახუ-
რებულმა არტისტმა ი. მილუშკინმა.
მისი დირიჟორობით თბილისელებმა
ნახეს სპექტაკლები — „განთიადი“,
„ჩანაჩა“, „პოლარული ვარსკვლავ-
ლი“, „ბოშის სიყვარული“ და სხვა.
თითოეული მათგანი სრულიად გან-
სხვავებული მუსიკალური სტილის



„ბოშა ქალის სიყვარული“. სანდორი — ი. როდნოი, ზორიკა — ს. მიხლინა.

ნაწარმოებია, თითოეულს კომპოზიტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ბეჭედი აზის. დირიჟორ ი. მილუშკინის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღრმად ჩაწვდა კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორთა მკვეთრად განსხვავებულ მუსიკალურ აზროვნებას, მიაგნო მათი ხელწერის თავისებურებათა გამოვლენის ხერხებს, რელიეფურად გადმოსცა კონტრასტული საწყისების დაპირისპირებანი, ფსიქოლოგიური და ემოციური ნიუანსები, მიაღწია მხატვრული სახეების დამაჯერებელ მუსიკალურ დახასიათებებს.

თეატრში ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე დირიჟორი კანცელსონი. მისი ხელმძღვანელობით თბილისში დაიდგა ოპერები „მონმარტრის ია“, „მხიარული ქვრივი“ და სხვა. ამ სპექტაკლებით გამოვლინდა მტკი-

ვც პროფესიული ჩვევებით აღჭურვილი მუსიკოსი, რომელიც საფუძვლიანად იცნობს კლასიკოსთა საოპერეტო მუსიკის ჟანრულ და სტილისტურ სპეციფიკას, დრამატურგიულ კანონებს, ერთ ურღვევ მთლიანობაში ჰკრავს ორეესტრისა და სოლისტიკების გამომსახველობას.

ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრს საკმაოდ გაწვრთნილი ორეესტრი ჰყავს, იგი სწრაფად რეაგირებს დირიჟორის, მსახიობებისა და ბუნდის მოქმედებაზე. ამყარებს მათთან აუცილებელ შემოქმედებით კონტაქტს, აძლევს სტიმულს სპექტაკლების დინამიკურ მსვლელობასა და ბუნდის მკაფიო რიტმულ იმპულსებს.

საოპერეტო ჟანრის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ცეკვაა. ვოგალურ-სცენურ გამომსახველობასთან

ქორეოგრაფიული ელემენტის შეთავსება შემარულებლებს განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აყენებს. თეატრის შემოქმედებით კოლექტივში ეს სირთულე აშკარად დაძლეულია. ამაზე მეტყველებს მსახიობთა პლასტიკა, საცეკვაო ილეთების ფლობა, ვოკალურ-ქორეოგრაფიული საშუალებების კოორდინირება. საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ვოლგოგრადის თეატრის საბალეტო ჯგუფმაც. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მისი ტექნიკური დონე, ანსამბლურობა, ცეკვის ბუნების შეგრძნება. ყოველივე ეს გამოცდილი ბალეტმასიტერების კ. სტავსკის, ვ. ლიუბიმცევის, ლ. ბარსკის დამსახურებაა.

თეატრის შემოქმედებით კოლექტივში შედარებით სუსტია გუნდი. ამის მიზეზი უპირველესად ყოვლისა მის მცირერიცხოვნობაშია, რის გამოც იგი მოკლებულია ჟღერადობის მაქსიმალური გამოვლენის შესაძლებლობას. საჭიროა აგრეთვე გუნდის პერსონიფიკირება, მისი დრამატურგიული ფუნქციის რელიეფური გამოვლენა. ამაზე უნდა იზრუნოს თეატრის ქორმასიტერმა ს. აპექსიმოვამ, თუცა ეს ამოცანა დირიჟორებისა და რეჟისორების კომპეტენციამაც შედის. თეატრმა ერთობლივი ძალებით უნდა გადაახალისოს საგუნდო გამომსახველობის ხარისხი.

ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის ძლიერი მხარეა მხატვრობა. თითოეული სპექტაკლისთვის მოძებნილია ორიგინალური და ხატოვანი ფერწერული გადაწყვეტა. მხატვრული გაფორმება ზუსტად პასუხობს ამა თუ იმ ოპერეტის მუსიკალურ ბუნებას, მის სტილისტურ თავისებურებებს. ამ კოლექტივში თეატრალური მხატვრობის საინტერესო სახეობებია მოღვაწეობენ — რსფსრ დამსახურებული მხატვარი ფ. კრასინი, ყირგიზეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. კეგორივი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები მ. ვინოგრადოვი, ა. არუთინიანი. ამიტომაც სპექტაკლების დეკორატიული სამსიმი უმეტეს შემთხვევაში თეატრალური სპე-

ციფიკის კარგი ცოდნით არის შექმნილი. ისინი გაურბიან სცენის გადატვირთვას, ყოველთვის იძლევიან სამშემსრულებლო დასის მოძრაობისათვის მოსახერხებელ ატმოსფეროს, კარგად აქვთ გაანგარიშებული პერსპექტივა და სივრცე. ასეთივე სადა და ფერადოვანია კოსტიუმებიც, რომელიც ხელს უწყობენ მთავარ გმირთა პორტრეტული დახასიათების და მაჯერებლობასა და სახასიათო შტრიხების გამოკვეთას. სასურველია მხოლოდ შექმნილობის გამიზნული გათამაშება, განათების შესაბამისობების მაქსიმალური გამოყენება სიუჟეტური მასალის განვითარების პროცესში.

ამრიგად, ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრი საინტერესო და ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივია. იგი აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა საოპერეტო ხელოვნების აღმავლობაში. პროპაგანდას უწევს საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებით მონაპოვრებს, ეძებს ახალ გზებს საოპერეტო ეანრის შემდგომი განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე პერიოდში ვოლგოგრადში წარმატებით ჩატარდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლები. თავის მხრივ, ქართველმა მსახიობებმაც მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს გმირი ქალაქის მშრომლებთან, მთელ საზოგადოებრიობასთან. ეს გაცვლითი გასტროლები მეგობრობისა და ურთიერთგაგების თავისებური სიმბოლო გახდა.

„პირველი გაცნობა უდიდეს როლს ასრულებს შემდგომისათვის და, არ დაკვიმალავთ, ცვდილობთ ყოველმხრივ თავი მოვაწონოთ თქვენს მაყურებელს, განვაცდევინოთ სისარული, რომ ამით არა მარტო შემოქმედებითი სიამოვნება მივიღოთ, არამედ თქვენი გულებისკენ მეგობრობის საზღვრი“ — წერდა გასტროლების პირველ დღეებში რეჟისორი ი. გენინი.

ეს ასეც მოხდა.

განვლილი თეატრალური ნელი და ახალი სეზონის აპოცანები

წერილი მ.ო.მ.

აკაკი დვალისვილი

როზმრც უკვე აღვნიშნეთ, გასულ სეზონს წინ უძღვოდა თბილისის მუსიკალური თეატრების მეტად მნიშვნელოვანი გასტროლები. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ თავისი მთლიანი შემადგენლობით (ოპერა და ბალეტი), ხოლო ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი პირველად გასცდა საქართველოს ფარგლებს და წარსადა მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე. ორივე თეატრის წარმატება მეტად მნიშვნელოვანი იყო და ამაზე თავისი ღირსეული გამომხატურება კპოვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საკავშირო პრესაში.

ამ გასტროლებზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ რა მდიდარი მხატვრული შესაძლებლობებისაა ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრი. ხოლო რაც შეეხება თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრს, იმისმა წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მაგარამ ეს დიდი წარმატებები სრულიად არ გვანთავიწყვლებს იმისაგან, რომ წერილობრივად ვიფიქროთ ჩვენი მუსიკალური თეატრების წინაშე მდგარ მტკიცეულ საკითხებზე.

ოკპარ

ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრს ყოველთვის შესწევდა უნარი ძალთა სავანგებო მობილიზაციით საქართველოს გარეთ ღირსეულად გაეტანა ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნება. ამასთან საყოველთაოდ ცნობილია ქართველი მომღერლების წარმატებანი საკავშირო ან მსოფლიო კონკურსებსა და ფესტივალებზე. მათ სისტემატურად იწვევენ საგასტროლო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და საზღვარგარეთ.

სულ ახლახან დიდად გავგახარეს მ. ამირანაშვილმა და ზ. სოტკილავამ, პირველმა — იაპონიაში, ბატერფლაის როლის საუკეთესო შემსრულებლის გამოსავლინებელ ტრადიციულ კონკურსზე, სადაც მან შესამე პრემია მოიპოვა, ხოლო ზ. სოტკილავამ — მსოფლიოს ჩაიკოვსკის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსზე, სადაც მეორე პრემია დაიმსახურა.

ქართველმა მომღერლებმა დაამშვენეს ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ცხადია, რომ ისეთი ძალების მქონე თეატრს, როგორც ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრია, განსაკუთრებუ-

მოთხოვნები უყენებს ჩვენი მაყრებელი სწორედ ამ დიდი შესაძლებლობებისა და მიმზიდველობის პოზიციიდან შევეცდებით ანალიზი გაუკეთებოთ თეატრის შემოქმედებით ცხოვრების ზოგიერთ მხარეს.

თეატრის კრებს — მის შემოქმედებით ცხოვრებას უპირველესად განაპირობებს სარეპერტურაო პოლიტიკა. თუმცა ეს მეტად ხმოვანი ფრაზაა, მაგრამ არსებითად სარეპერტურაო პოლიტიკა არის საფუძველი, რაზედაც შედგება თეატრის რთული ცხოვრება, მისი როგორც სახე, რადიო, მხატვრული მიმართულება და სხვა მრავალი, საც თერთადში გასახალგაზრავს თეატრის წარმატებას ან წაოუმატებლობას.

ძალზე ღარიბულად გამოიყურება, თუნდაც ქართული თეატრის რაოდენობის მხრივ, თეატრის ეროვნული რეპერტუარი. ეროვნული საოპერო კლასიკიდან დღეს სცენაზე მხოლოდ „დაისი“ და „ქეთი და კოტე“.

ბოლო წლებში ჩვენ ვერ ვხედავთ იმ ინტელსურ ბრძოლას ქართული საოპერო რეპერტუარის გაუმდიდრებლათვის, რასაც ადვილი მქონდა ამ 10 წლის წინათ. საოპერო თეატრის უპირველესი ვალაა, შექმნას ნაწილები ეროვნული საოპერო რეპერტუარი. ევრაზიური გამართლება ვერ მოქმედებდა იმ ფაქტს, რომ დღეს რეპერტურაში არ არის ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო თქვენი, მათ შორის შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“; ო. თაყაიშვილის „მინდია“; ა. კვიციანიძის „ბაშინაუკი“; დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარაძი“.

თეატრის მოქმედი რეპერტუარის განხილვის დროს თქვენ ხანავთ ისეთ დასახელებებს, ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინ რომ ცხადდებოდა სარეპერტურაო აფიშაში: „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „კარმენი“, „აი-დაი“, „ტრუბადური“, „ტოსკა“, „ფაუსტი“, „ვევნი ინგი-ნი“, „პიკის ქალი“ და ასე შემდეგ. განა საოპერო ხელოვნების საგანძურში ამ დასახელებათა მეტი არაფერია?!

ყველა დროის ხელმძღვანელი გვაპირდება რეპერტუარის განახლებას, მაგრამ ეს განახლება მეტად მიმოდ მიმდინარეობს.

არა, იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ერთხელ კიდევ გამოვხატო ჩვენი გულისწყობა და კვლავ დავიწყეთ, საშინისტრომ და თეატრის ხელმძღვანელობამ, რომ დროა თუნდაც ერთი კლასიკური ოპერა ქართულ ენაზე დავდგათ და ზოგიერთი რუსულად დავარწმუნოთ, რომ ნებისმიერი ოპერა არანაკლები კეთილმზობაუნებით ელვის ქართულ ენაზე. დროა ამ ეროვნულ საქმეს შევუდგეთ მხარში. ჩვენი საზოგადოებრიობა სამართლიანად მოითხოვს ამას.

ახლა გასულ სეზონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ორი წლის განმავლობაში თეატრი გვიპირდავდა, რომ დადგამდა ახალ, თანამედროვე თემაზე შექმნილ ქართულ ოპერას — შ. მშველიძის „ჯარისკაცის ჭრივით“, რომელიც რ. ჯაფარიძის ცნობილი რომანის მიხედვითა დაწერილი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს ოპერა არ დაიდგა. ამის გამო წარმოიქმნა საჩუქარი იქნა ჩამგველი ა. ბალახიძის კომპოზირებული ოპერა „ოქრის ქორწილი“, რომელიც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დავეითო იყო დაწერილი. ამ ახალი ოპერის დადგმისათვის უკვე იყო იყო საკმარისი დროც. მივიღეთ მეტად უფროული საშუალება.

გასულ სეზონში ხელახლა დაიდგა გუნის ოპერა „ფაუსტი“ (რეჟისორი გ. მეღვია, მხატვარი მ. მურგანიძე, დირიჟორი ვ. კახიძე). ეს კლასიკური ოპერა თბილისში თითქმის ასი წლის განმავლობაში იდგებოდა განუწყვეტლად.

ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ ამბობინა თეატრმა ისევ „ფაუსტის“ ასლი დადგმის განხორციელება, ვიდრე მიეზნა მართა ისეთი თანამედროვე ან კლასიკური ოპერისათვის, რომელიც თბილისში არ დადგმულა. ამის ნაწილობრივი გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, რომ

„ფაუსტის“ ახალი დადგმა წინადადებულ საგრძობლად უკეთესი გახსოვლიყო. უკეთესი კი იქნებოდა, რომ „ფაუსტს“ ამაოდ დასარჯული დრო და სასხერი თეატრის უფრო პრინციპული მიზნებისათვის გამოეყენებინა.

ბალაში

მიმდინარე სეზონში თეატრმა განახორციელა დ. თორაძის ბალეტის „ქედველი“ ახალი დადგმა, რომელიც წარმოადგენს ბალეტის „შემოდინებისათვის“ ახალ მუსიკალურ-სცენურ რეაქციას, ამჟერად ეს სპექტაკლი წარმოგვიდგა წინადადებულად შედარებით უფრო მუსიკალურად დახვეწილი, მაგრამ მისი სცენურ-ქორეოგრაფიული განხორციელება კრიტიკას ვერ უძლებს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ბალეტს არავითარი პრინციპული და თვისობრივი სიახლე არ უჩვენებია. ეს მდგომარეობა უკვე დიდი ხანია გრძელდება. მისი გამოსაწველისათვის ეს დადამწყვეტ ზომების მიღება საჭირო. ვერვინ უაღრესეს ქართული კლასიკური ბალეტის დამაარსებლის ვახტანგ შატავიანის დიდ დამსახურებას, მაგრამ დღეს მართო ჭაბუკიანს აღარ ძალუძს ამ დიდი საქმის გაძლიერება — საჭიროა, რომ მას მხარში ამოვიუყუროთ ახალგაზრდა, ნიჭიერი და პერსპექტიული ქართველი ბალეტმეისტრები.

სულ ახლახან ზ. ფლამიშვილის სახელობის თეატრში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები — თეატრის მთავარ დირიჟორად დაინიშნა სიმეონი მუსიკალური ვახტანგ ფლამიშვილი, რომლის სახელი კარგადაა ცნობილი, ხოლო მთავარ რეჟისორად — გაიოს ჟორდანია. იმედოვნებ, რომ ისინი გამართლებენ ამ პასუხისმგებ მოვალეობას.

მუსიკალური კომპოზიციის თეატრი

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომპოზიციის თეატრის წარმატებად მოსკოვის პასტორალის დროს გამოვლინა ამ თეატრისა და ქართული თეატრის ქართული სახარისო ზრდა და პერსპექტიულობა. საეასტროლო რეპერტურაზე კარგად გამოსატყავდა ამ თეატრის, როგორც საუკეთესო ტრადიციას (შ. მილორავასა და ლ. ჭუბაბიას ოპერება „სიმღერა თბილისისა“), ასევე მის ახალ შემოქმედებით საფუძვლს (ს. ცინცაძისა და ლ. ჭუბაბიას „სიმღერა ტყეში“). ღირსეულად წარმოადგინა თეატრმა აგრეთვე რუსული საბჭოთა ოპერების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში (მილორავის „ჩაინტას კოცნა“).

ამ ბოლო წლებში მუსიკალური კომპოზიციის თეატრში მნიშვნელოვანი შემოქმედებითი და ორგანიზაციული ძვრები მოხდა, თეატრის დასი იყვანა ნიჭიერი ახალგაზრდებით. მნიშვნელოვან ამაღლდა მუსიკალური შესრულების დონე, გაუმჯობესდა ორკესტრი. მუსიკალური ხელმძღვანელობას სათავეში რაუდგენენ ენერგიული დირიჟორები. მისაღებელია, რომ თეატრი ამ ბოლო დროს ცალკეუდადამებზე იწვევს ავტორიტეტულ რეჟისორებს საბჭოთა კავშირის სხვა მუსიკალური კომპოზიციის თეატრებთან. ქართული მუსიკალური რეჟისურის თვალსაზრისით მიღწევადა აღიარებული იქნა რეჟისორ თ. აბაშიძის მიერ დადგენული „სიმღერა ტყეში“ და „ჩაინტას კოცნა“. ინტენსიურად მუშაობენ თვით თეატრის რეჟისორები. კომპოზიტორი გ. ცაბაძისა და დრამატურგ მ. თარხნიშვილის ახალი ოპერება „კურკას ქორწილი“ (რეჟისორი ბ. გარბაგლი) მუსიკალური კომპოზიციის თეატრის გასული სეზონის საუკეთესო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს.

გასულ სეზონში თეატრმა საყურადღებო მუშაობა გა-

გვადლებს განცახადით, რომ ბათუმის თავი ირანულ ადგილს იჭრს რსაპოლიკის საუკეთესო თვატრებს შორის. ოღონდ საჭიროა სტაბილიზაცია იმისა, რაც დღევანდელია. თვატრმა უნდა იზრუნოს თავისი მხატვრული შესაძლებლობების გაშლასზე, აქტიურული პოლიტიკის გაფართოებაზე, ახალი ნიჭიერი კადრების მიზნადღეზე.

ჩვენი თავისებობა ქალაქების, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის თვატრების სარეპერტუარო პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნას მრავალხანობა მათი აუდიტორიისა. ზოგჯერ ამ ქალაქების თვატრალური ცხოვრებით ფასდება ხოლმე მთელი საქართველოს თვატრული კულტურის დონე. ბევრს ახსოვს, როგორ გაიხსნა ბათუმიდან მთელს კავშირში „ოდიშოს მეფემ“ ა. ჩხარტიშვილის დადგმით. ეს არც შემთხვევითია და არც გამონაკლისი. სოხუმის თვატრსაც აქვს თავისი მრავალფეროვანი აუდიტორია და აქვს ღირსეული ტრადიცია. ამ თვატრის, ისევე როგორც ცხინვალის თვატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული ცხოვრების სტრუქტურა, რეპერტუარია. იგი თვატრის მსუქველობისგან მოიხსნება განსაკუთრებულ სიფრთხილს, უთითებთგაებას, მეტ ტაქტს, საქმიანობას საერთო სახელმწიფოებრივ მიდგომას. ის ფაქტი, რომ სოხუმის თვატრის ქართულ დასში იწვიათად იდგება აფხაზური პიესა, ხოლო აფხაზურ სცენაზე უფრო ნაკლებად — ქართული პიესა, ვიდრე თუნდაც ესტონეთის თვატრებში — მეტად სერიოზულ ნაკლის თვატრის მუშაობისა. ამ მხრივ საყვედური თქმის ცხინვალის თვატრსაც.

სოხუმის ქართულმა თვატრმა წარმატებით დადა გარსია ლორცას „ქინარდო ალბის ოჯახი“. აქ გამოჩნდა რეჟისორის საუკეთესო მხარეები, რიტმის, პლასტიკის, კომპოზიციის გონივრება. თვატრმა თავისი სცენა დაუთმო ადგილობრივი ავტორის გასიანის პიესას „მამა, დაადე თოფი“. ადგილობრივი ავტორისადმი ამ მხარდაჭერას გარკვეული დადებითი შედეგაც მოჰყვა.

ბოლო წლებში სოხუმის თვატრმა აქტივობა დიდი დენადობა განიკადა. ამის შედეგად მკვეთრად შევიწროდა დასის შუამდგომლობა. სამწუხაროდ, იერე კულტურის სამინისტრომ გამოიჩინა ბოლომდე პრინციპულობა, რომ არ დაემტკიცა სოხუმის თვატრიდან მსახიობთა განთესვა.

ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა აფხაზურ დასში, სადაც მთხზა საფუძვლიანი განახლება. კერძოდ, მას შეებატა მსახიობთა ახალაზურად თაობა, რომელმაც უკვე დაიკავა წამყვანი შემოქმედებითი პოზიციები ეროვნულ თვატრში ამჟამად ამ ძირეულად ახალგაზრდულ დასს აქვს ფართო მხატვრული დიაპაზონი, რაც რეპერტუარის პრინციპულ არჩევანსა და მის კონკრეტულ განხორციელებასაც დააძინდა. ეს იგრძნობა თუნდაც გასული სეზონის ახალ დადგმებში: ისენის პიესაში „მოწივენიანი“ და თანამედროვე დრამატურების ჟოტევის „ვეფხისტყაოსნის“.

ამ საქმეებში პირველი ყოფილია შესამჩნევია მკაცრი პროფესიული წესრიგი, მოქმედ პირთა შორის მეტიდრო და მოკიდებულება, სიმორიერების გრძნობა. ისენის ტრაგედიაში დიდი წინსვლა გამოამჟღავნეს მსახიობებმა ს. ავაშაძემ (ერე ალენძი) და ზ. კოკეშ (ოსავალი), რომლებიც გამოირჩევიან მკაცრი უნარდობებით, სიღრმითა და სიმართლით.

სატირული გონებაშეხილობით გამოირჩევა სპექტაკლი „ვეფხისტყაოსნის“ რომელიც რეჟისორი და მსახიობები მოსაზრებდ ფლობენ თანამედროვე თეატრალურ ფორმებს. აფხაზურ დასში იგრძნობა აქტიური შემოქმედებითი მიზანსწრაფვა, რაც ამ თვატრის ზრდის საწინდარია.

საქართველოს კულტურის სამინისტროს საპეკიალური მსჯელობის საგანი გახდა ფოთის თვატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობა. ჯერჯერობით არსებითი

გარდატეხა არ მომხდარა თვატრის ცხოვრებაში და ალბათ მომავალშიც მეტი ყურადღების დამოხმობა მოგვიხდება ამ თვატრისადმი.

ცხინვალის თვატრის ოსური დასის შემოქმედებითი ცხოვრება შუადროებით სტაბილიზურია. რეპერტუარი მრავალფეროვანია, სპექტაკლებიც უფრო დაკომპლექტებული, თავმორიული არიან სხვადასხვა აპკალუსა და მისწრაფების მსახიობები. რეჟისურა მოითხოვს განახლებას.

ახალ დასში წესი სიჭრელე შეინიშნება, მოხუცებულა იმისა, რომ მის წელს შეებატა თვატრალური ინსტრუქტორის კურსდამთავრებულთა ჯგუფი. ქართულ დასში მსახიობის პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება.

საქალაქო და რაიონული თეატრები.

სერიოზული შემოქმედებითი ხასიათის პრეტენზიები გვაქვს გორის თვატრის მიმართ. ამ თვატრის სცენაზე არა ერთი სპექტაკლი დადგმულა, რომელიც დაამუშავებდა რესპუბლიკის ყველა მოწინავე თვატრს. სამწუხაროდ, განხილულ სეზონში ვერ შეებატა ვერც ერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი. თვატრმა არსებითად უნდა გადაახალისოს მუშაობა. მკვეთრად უნდა ამაღლდეს მხატვრული მომთხვენლობის დონე.

მესამე წელია მესხეთის სახელმწიფო თვატრის განახლებიდან. თვატრმა უკვე გაიჩინა თავისი პატივისცემლობა. ჩვენი რესპუბლიკის თვატრალური საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ამ თვატრის შემოქმედებით ზრდას. ეს გასაგებია. საქართველოს ამ უძველეს მხარეს, რომელსაც მუდამ შევიწროდა დიდი კულტურული ტრადიცია, დღეს კარგი თვატრი სჭირდება. ჩვენი ვალა, არ მოვატოვო დახმარება მას. ამ თვატრის სპექტაკლი — ა. ევწაძის „პაემანი ცაში“, ნაოლად მტკიცელებს იმაზე, რომ იზრდება თვატრის პროფესიული კულტურა. ბევრია გონივრულად გააზრებული და სწორი მხატვრული აქცენტებით დადგმული სპექტაკლი. „პაემანი ცაში“ და „ღორ — 24 საათი“ გავიჭრებინებებს, რომ თვატრს შეუძლია მიაღწიოს ახალ სერიოზულ წარმატებას.

თელავის თვატრმა რამდენიმე საყურადღებო დადგმა განახორციელა. ეს არის უპირველეს ყოვლისა ჩხაიძის „ხიზმა“, მ. შრეველიშვილის „ბერძენის ჩრდილი“, რომელიც ასახავს რევოლუციის წინა პერიოდს საქართველოს ცხოვრებიდან. სპექტაკლი მრავალპიზოზიანი დრამატული ამბავია. პირველი ნოველა ემოციურ, ზეაწეული, სოფლის ჭირ-ვარამზე მისტრიულ ქმედებას მოგვაგონებს და შესანიშნავ ტრის აძლევს მთელ სპექტაკლს.

აქვს, ისევე როგორც სხვა თვატრებში, საზრუნავია თანდათანობით მონაცვლეობა, უფროსი თაობის გვერდით ჯერ ვერ ვხედავთ მის საკადრის ცვლას.

ჭიათურის თვატრის მუშაობაში გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ თითქმის ორი წელი თვატრის მოავარი რეჟისორი არ ჰყავდა. ჭიათურის თვატრის სპექტაკლმა „ცხოვრება კაცისა“, ორივედ წლის წინათ საკავშირო პრემიაა კი დაიმსახურა. ამიტომ მეტს მოვლით ამ თვატრისგან. თვატრმა ახლასანს აღინიშნა თავისი 75 წლისთავი და გვეჯრბა, რომ ეს ხელს შეუწყობს მის შემდომ მუშაობას.

დიდი ხანი არ არის, რაც თვატრალურმა საზოგადოებრიობამ შეზება მასხარაძისა და ზუგდიდის თვატრების 100 წლის იუბილე. მას შემდეგ ცოტა დრო გაეცა. ამ თვატრებში წარმატებით დაიდა „ეკორ ბულირივი“ (მასხარაძის თვატრი) და „პაკა აბაძა“ (ზუგდიდის თვატრი), მაგრამ ამ თვატრების, განსაკუთრებით კი ჭიათურის, ფოთის თვატრების მუშაობაში არის ნაკლოვანებები, რომელიც პირ-

დაპირ უკავშირდება კადრების საკითხს. საკითხის გადაწყვეტა კი აღმატება თეატრის ხელმძღვანელთა შესაძლებლობას. უნდა ვალიართ, რომ კულტურის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ უწყვეს მათ ვერც სათანადო ფინანსურ და ვერც მემოქმედებით დახმარებას. მაკალითად, ჭიათურის, ზუგდიდისა და მახარაძის თეატრებში მუშაობს თითო რეჟისორი. ახალი სპექტაკლების გეგმა კი თვალისწინებს მ წარმოდგენას. ადგილი გასაგებია, თუ რა ძნელია ამ ნაკლის დაძლევა. რეჟისურა — აი, რა არის ახლა უპირველესი პრობლემა ადგილობრივი თეატრების ცხოვრებაში.

როდესაც საუბარი შეეხება ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების შემოქმედებას, ხომალე წამოიჭრება ტექნიკური სამეურნეო და ორგანიზაციული ხასიათის საკითხები, რომლებიც თითქმის ბატონობენ თეატრის მხატვრულ ცხოვრებაზე. მასზე ახდენენ არსებით გავლენას და ხშირად აიძულებენ თეატრს დაუმჯავნ მხატვრული კომპრომიზი. მაგრამ არსებული სიმძლევეების პირობებშიაც რომ ახერხებენ ეს თეატრები შექმნან კარგი სპექტაკლები? ამგვარი სპექტაკლების დასახელება შეიძლება, როგორც გორის, თელავის, მახარაძის, ზუგდიდის, ჭიათურის, სხვა თეატრების პრაქტიკიდანაც. ჩვენი ვალია მაქსიმალურად ვამოავლოთ წარმატებები. ერთმანეთს შევვანამო მხატვრული და ორგანიზაციული საქმიანობა.

განვილოი სეზონის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ თეატრში ბევრი კარგი შესაძლებლობა დაიკარგა. თუ ადგილობრივი თეატრების მიმართ შეიძლება ლაპარაკი გარკვეულ შეღავათებზე, ან კომპრომიზებზე, რომლებიც გამოწვეულია ობიექტური ხასიათის სიმძლევეებით, იგი დაუშვებელია თბილისისა და რუსთავის თეატრების მიმართ. იმათ მიმართ, ვისაც ვვალევა წარმატებით წყვეტდეს თანამეორვე მხატვრულ ამოცანებს.

როგორც ვხვდავთ, ქართული თეატრის გასული სეზონი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ეს ნაკლოვა-

ნებანი წლების განმავლობაში ახასიათებს ქართული თეატრის შემოქმედებით და ორგანიზაციულ ცხოვრებას.

შესაძლოა გავაუმკუთ კიდევ საქართველოს თეატრების ამჟამინდელი მდგომარეობის სურათი, მაგრამ ეს დიდი მომთხოველობა გამოწვეულია ჩვენი შემოქმედებით შესაძლებლობის მაალი პოტენციალით.

სწორედ ამის დადასტურება იყო უკანასკნელი წლების წარმატებები. ბოლო სამ წელიწადში საქართველოს თეატრების ხუთმა სპექტაკლმა საკავშირო პრემია დაინახურა („წმინდანები ჯოჯოხეთში“, „მისი უდიდებულესობა“, „ცხოვრება კაცისა“, „მთვარის მოტაცება“ და „მესტრო“). ამავე პერიოდში საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიდგა ხუთი ქართული პიესა: ა. გეჭაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, გ. ხუხუშვილის „ცა და მიწა“, გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქეცია“, „შაბიან ხიხი“, ედ. ყიფიანის „კაენის ცოდვა“, რუსეთის თეატრების რეპერტუარში კიდევ ორი პიესა შეტანილი (კ. ბუაჩიძის „ამაზავი სიყვარული“ და გ. ბათიაშვილის „ძახილი“). საკავშირო კულტურის სამინისტრო წელიწადში საქართველოდან იწონებს 4-5 პიესას და გავრცელებაში უშვებს.

ზემით დასახელებული სპექტაკლების გარდა წარმატება ხვდა გასული სეზონის სპექტაკლებს რუსთაველის თეატრში — „სამანიშვილის დედინაცვალს“, რუსთავის თეატრში — თ. ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“, მოზარდ მაცურებელთა თეატრში — ვ. დარასელის „კიკვიძის“ და ახალციხის თეატრში — აკ. გეჭაძის „პაემანის ცაში“. ზოგიერთი სპექტაკლების საერთო მხატვრული დონე საინტერესოდ გამოიყურება, მაგრამ ჩვენი სურვილია ქართული თეატრი ბრწყინავდეს ისე, როგორც გვადრება ქართულ კულტურას.

ახლა საქართველოს თეატრების ცხოვრებაში დგება ახალი ეტაპი, რომელიც მილიანად საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს უნდა მიეძღვას. იმედი გვაქვს, რომ ახალი სეზონი ახალ სიხარულს მოუტანს ქართველ მაცურებელს.

ჩვენი ეურნალის მე-7 ნომერში (გვ. 24) დაიბეჭდა ეს ნამუშევარი, სამწუხაროდ, მისი ავტორის გვარი შეცდომით იყო მითითებული.

ო. ლოლაძე.

ოცნება.





მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება. თეატრის მხატვრული პროგრამა შესდგება მოზარდ მაყურებელთა თეატრების რეპერტუარის საუკეთესო პიესებისაგან და გათვალისწინებულია სამივე ასაკობრივი ჯგუფისათვის (უძეოროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეები), ამით ფაქტიურად სამი სხვადასხვა თეატრი არსებობს ერთი თეატრის სახე-რავებში.

თეატრის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბავშვის ცხოვრებაში პირველი სპექტაკლებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და აქედან გამომდინარე, წინა წლებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უძეოროსი ასაკის მოსწავლეობის დადგმულ სპექტაკლებს. პატარებისათვის თეატრი წარმოადგენს ზღაპრულ სამყოს, მისი საშუალებით შეიცნობს ამავე სამყაროს, თავისებურ აღმოჩენებს აკეთებს და ასე წარმოიდგინეთ, საკუთარი დასკვნებით კი გამოაქვს. ყოველ ზღაპარს ბოროტების წინააღმდეგ სიკეთის ბრძოლა უდევს საფუძვლად. ბავშვისათვის კი ეს პირველი წარმოდგენა ცხოვრებაზე, რომელზედაც თეატრმა პასუხი უნდა გასცეს. ზღაპარი თეატრს ეხმარება ამ ამოცანის დაძლევაში, რომ გზიწვრულად წარმართოს ბავშვის ფანტაზია, წარმოდგენა მისცეს სილამაზეს, აზიაროს ხელოვნებას. საბავშვო თეატრის სცენაზე განხორციელებულ კარგ ზღაპარს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს სამყაროსადმი თავიანთი დამოკიდებულების სწორად განსაზღვრაში. ამიტომ არის, რომ ყველაზე პატარა მოსწავლეებისათვის თეატრი ძირითადად ზღაპრების — ა. ბრიატცევის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „საბავშვო თეატრების კლასიკის“ სცენურ განხორციელებას მიმართავს.

მეორე სუბონია, თეატრის სცენაზე წარმატებით მიღის ბავშვების ერთ-ერთი პოპულარული ზღაპარი, ყვერგი მიხალკოვის — „ბაქია ბაქია“. ეს ნათელი და ყველასათვის ცნობილი ზღაპარი ყოყლოჩინა ბაჭის შესახებ პაერთად და ძალიან მზარულად უამბობ ბავშვებს საკითხველის სწორ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ვლადიმერ ვოლგუბსმა მთელ სადადგო კოლექტივთან ერთად.

